ეროვნული ბიბლიოთეკ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 18 (1447), პარასკევი, 30 აპრილი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

ხვალ პირველი მაისია — მშრომელი კაცობრიობის დიდი საგაზაფხულო ზეიმის, ყველა ქვეყნის მუშათა ერთობის და ძმობის დღე.

ბუნების მძლავრ გამოღვიძებასა და აყვავებას მსოფლიოს მშრომელებმა სიმბოლურად დაუკავშირეს განთავისუფლებისათვის ბრძოლის დღესასწაული. იმ დღიდან, როცა საპირველმაისო საბრძოლო დროშა პირველად აღიმართა, სამ მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე უმაგალითოდ გაფართოვდა და განმტკიცდა ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანობა, პროლეტარიატის გამათავისუფლებელმა მოძრაობამ სამყარო შეძრა და შეარხია. ოქტომბრის რევოლუციით კაცობრიობის განვითარების ისტორიის ახალი ერა დაიწყო. შეიქმნა მსოფლიოს სოციალისტური სისტემა. ამ სისტემის ძლიერება ლაგამს ადებს იმპერიალისტთა თავაშვებულ მოქმედებას, ხელს უწყობს კოლონიური მონობის უღლის დამსხვრევას, მსოფლიოს ხალხებს აკავშირებს დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

დღეს, როცა რევანშისტები აქტიურდებიან და ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ომის კერები გააჩაღონ, გააფართოვონ აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საჭიროა პროგრესული, ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობა და შეჭიდროება. ამ ძალების ერთიანობა ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ერთგულნი ლენინური სამშვიდობო პოლიტიკისა, მტკიცედ იცავენ და თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ბრძნულ პოლიტიკას, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გააერთიანონ მსოფლიოს პროგრესული ძალები, კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხთა შეკავშირება, ძმური მეგობრობა და ერთიანობა.

საბჭოთა ხალხი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაულს მრავალმეტყველი ისტორიული წარმატებებით ეგებება. ყველა საბჭოთა ადამიანი, სახალხო მეურნეობისა და კულტურის რომელ უბანზეც არ უნდა მუშაობდეს იგი, თავის წმინდა მოვალეობად სთვლის პირველ მაისს ახალი სახელოვანი წარმატებებით შეხვდეს. ამ ტრადიციას ჩვენი ხალხი არასოდეს არ ღალატობს. კომუნისტური პარტიის მუდმივმა ზრუნვამ ადამიანის შრომა განსაკუთრებით წარმტაცი და ხალისიანი გახადა. ადამიანის კეთილდღეობისათვის ჩვენი მშობლიური პარტიის ეს ფიქრი და ზრუნვა ერთხელ კიდევ მთელი ძალით გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებში. ამ გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ადამიანებს ფრთები შეასხა, აამაღლა მათი პატრიოტული სულისკვეთება, შრომითი და პოლიტიკური აქტივობა. ხალხის ეს სულიერი აღმავლობა დაუშრეტელი წყაროა საბჭოთა ხელოვნების შემდგომი უმაგალითო განვითარებისა.

საბჭოთა ადამიანები დაუღალავად და გატაცებით აშენებენ ახალ საზოგადოებას, მთელ ძალღონეს ახმარენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ყოველმხრივად განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველს — სოციალისტურ საკუთრებას, ბეჯითად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს და ამცირებენ თვითღირებულებას.

ამ დიდი ამოცანების განხორციელებისას ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მხარში უდგას საბჭოთა ინტელიგენცია. იგი მთელ თავის შესაძლებლობასა და ძალღონეს დაუზოგავად ახმარს სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობას, წინ სწევს მეცნიერებასა და ტექნიკას, ამდიდრებს პრაქტიკას ახალი აღმოჩენებითა და მიღწევებით, ღირსეული წვლილი შეაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, იბრძვის კომუნიზმის შესაფერი სპეციალისტების მოსამზადებლად, იკვლევს კოსმოსს, ყოველმხრივად ხელს უწყობს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

მხატვრული ინტელიგენცია ერთგულად მიჰყვება პარტიის მიერ ნაჩვენებ გზას, მტკიცედ იცავს ლიტერატურის ლენინურ პრინციპებს და დღითიდღე ამდიდრებს სოციალისტური კულტურის დიდებულ საუნჯეს. საბჭოთა მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები ფხიზლად უსმენენ პარტიის მოწოდებას და გულმოდგინედ იბრძვიან ნაწარმოებთა პარტიულობისა და ხალხურობისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის; ისინი მიისწრაფვიან უფრო ნათლად ასახონ კომუნიზმის მშენებელთა გმირული საქმეების სიდიადე და სილამაზე.

საბჭოთა ლიტერატურა აქტიურ მონაწილეობას იღებს კომუნიზმის მშენებლობაში, ხელს უწყობს მშრომელთა მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას, იბრძვის კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

ჩვენი ხალხი სამართლიანად ამაყობს საბჭოთა მწერლობით, ხელოვნებით. მხატვრული კულტურის ყოველი ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ახარებს და აღაფრთოვანებს მას. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ლენინური პრემიების მინიჭება საყოველთაო ზეიმად იქცევა ხოლმე და ამ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებს მკითხველთა ფართო მასა ეზიარება. მხატვრული შემოქმედება პარტიის, ხალხის საერთო ზრუნვის და ყურადღების საგანია. ეს კი ზრდის და აათკეცებს შემოქმედის პასუხისმგებლობას. ამ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია დაუღალავად შრომობს თავისი ხალხის შესაფერი ნაწარმოებების შესაქმნელად.

წლევანდელი საპირველმაისო დღესასწაული ემთხვევა ჩვენი ხალხის მეორე დიდ ზეიმს — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავს, რომლის აღსანიშნავადაც გაცხოველებით ემზადება საბჭოთა ხალხი, ემზადებიან სოციალისტური ქვეყნების მშრომელები და მთელი მოწინავე კაცობრიობა, ყველა ვისთვისაც ძვირფასია ადამიანი, ძვირფასია სამართლიანობა და მშვიდობა.

გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ კაცობრიობას ბედნიერება მოუტანა, ხალხები მონობისაგან იხსნა, ცივილიზაცია კი — განადგურებისაგან. ამიტომ 9 მაისი მარტო საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური ქვეყნების საზეიმო დღე კი არ არის, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობისა; ეს დღე აღნიშნავს მშვიდობის, ხალხთა შორის ძმობის განმტკიცებისა და იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით. ამ გამარჯვებას მილიონობით ადამიანები შეეწირნენ იმისათვის, რომ დედამიწაზე მშვიდობა და სიკეთე ეზეიმა, რომ საბოლოოდ დათრგუნულიყო ომი, ხალხებს თავისუფლად ეშენებინათ თავიანთი ბედნიერი მომავალი.

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს სიყვარულითა და პატივისცემით ვიგონებთ იმათ სახელებს, ვინც თავი დადო სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში, ვინც გმირობითა და მამაცობით ჩვენი ხალხი ასახელა. მათ საუკუნეთო დიდება და პატივისცემა მოუძღვა.

დაე მუდამ ცოცხლობდეს ხალხთა ხსოვნაში მათი წმინდა სახელები!

— გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღეს!

— გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

— გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც დედამიწაზე ამკვიდრებს ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ძმობასა და ბედნიერებას!

მხატვარი გ. როინიშვილი.

1945-1965

ქართველი ვაჟკაცის ხმა რაიხსტაგში

მდინარე დონეცი ცივი და დაუნდობელია, მაგრამ მაინც უნდა გადაცურო, მეტი გზა არ არის, ხიდი და ბორანი მიღეწილ-მოლეწილია.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კავშირგაბმულობის პოლკის მეკავშირეთა ოთხმოცდაცხრამეტე ასეულის უფროსს კონდრატე უბილავას ბევრი არ უფიქრია, მაშინვე ტანისამოსი გაიხადა, პარტიული ბილეთი პირსახოცში შემოახვია და ბედუინივით თავზე წაიკრა. მერე ტანზე მუჭით წყალი შეისხა. მასთან მაიორი მედვედევი მივიდა.

— ცურვა არ ვიცი ძმობილო, ვერ მიშველი?

კონდრატემ მდინარეს გახედა, ნაპირი არც კი ჩანდა, აღელვებული და [illegible] დონეცი ლაღად მოედინებოდა. მედვედევი პასუხს ელოდებოდა.

— უშველით არაფერია! — უბილავა ახალგაზრდა იყო, ჯანღონით სავსე, უცებ დატრიალდა, გრძელ ფიცარზე თოკით მედვედევი დააბა, მერე ამ თოკის ბოლო უკლდივით კისერზე შეიბნაკვა.

— რას მიშვრები, ძმობილო?

— ნუ გეშინია, — გაამხნევა და წყალში შევიდა. შუა მდინარემდე ლაღად მიცურავდა, მაგრამ მერე გაუჭირდა, მორევმა კინაღამ ჩაითრია და ნაპირზე ძლივს გამოაღწია.

— აგაშენა ღმერთმა! — გაუხარდა მედვედევს. მეგობარი გულში ჩაიკრა, წინასწარ გამზადებულ სანგარში ახალ ტანისამოსს რომ იცვამდნენ, ჰკითხა:

— სად ისწავლე, ასეთი ცურვა.

— სოხუმში, ზღვაზე.

— მე კი დონის პირად ვარ გაზრდილი და ცურვა არ ვიცი.

— არა უშავს, ყველა კაცს თითო ნაკლი აქვს! — ჯავრი შეუმსუბუქა უბილავამ. მერე თავისი მისამართი მისცა.

— თუ ცოცხალი გადავრჩი, შენ არ დაგკარგავ.

— ჩამოდი სოხუმში და ხელად გასწავლი ცურვას! — გაეხუმრა უბილავა.

მეორე დღე უბილავას შავად გაუთენდა. ფეხში დაიჭრა, სანიტრები დროზე ვერ მიეშველნენ. გონს რომ მოვიდა, ვიღაც დედაბერი ეჯდა თავთან და შუბლზე ცივ ტილოს ადებდა.

— სადა ვარ?

— ჩუმათ, სოფელში მტერია.

— ტყვე ვარ? სად არის ჩემი იარაღი? — უბილავა წამოიწია, მაგრამ მოხუცმა ქალმა ისევ დააწვინა.

— გამოკეთდი, იარაღსაც მოგცემ და მერე თავს უშველი.

ეს კეთილი ქალი მარია მოზგოვაია გამოდგა. უბილავას უბის წიგნაკში ახლაც უწერია მისი მისამართი. კრასნოდარის მხარე, სოფელი ხაპაროვი. შემდეგ, ომი რომ დამთავრდა, უბილავამ მარია არ დაივიწყა, წერილი გაუგზავნა, პასუხი რომ მიიღო, ქართული ხილით ასიამოვნა თავისი კეთილისმყოფელი.

ერთ კვირაში უბილავამ სიარული დაიწყო, კარგად იყო საქმე. მარიამ ძველი ტანისამოსი ჩააცვა, გლეხს დაემსგავსა, მერე სოფელში თავის ბედში მყოფებიც მონახა და საღამოს ტყეში გასვლა გადაწყვიტა. მაგრამ იმ საღამოს სოფელში სამხედრო საჭურველით დატვირთული მანქანების კოლონა დაბინავდა. სოფლის საბჭოს შენობაში ღამე გვიანობამდე ღრეობდნენ თავზეხელაღებული ფაშისტი ჯარისკაცები. ბოლოს ყველაფერი რომ მიწყნარდა, უბილავა და მისი ახლადშეძენილი ამხანაგები ამ კოლონას მიადგნენ, დარაჯი გაგუდეს. უბილავას აქ გამოადგა მძღოლის კურსებზე სწავლა, ყველა მანქანას „ხვეტები" ამოაძრო და ტყეს შეაფარა თავი. დილით ჩვენმა ავიაციამ აღმოაჩინა ეს უქმად მდგარი კოლონა და ნაცარტუტად აქცია.

ღამე ტყე-ტყე სიარული ჰქონდა, მაგრამ მაინც მიიწევდნენ წინ. გზაზე თუ გამოვიდოდნენ, მტრის ალყებს შავ დღეს აყენებდნენ. ჩრდილოეთ ოსეთის მაგვენოვის რაიონამდე გამოაღწიეს. აქ ისევ ბრძოლაში ჩაებნენ. დიდი წისქვილი განუწყვეტლივ მუშაობდა. მტერი მოსახლეობიდან მოტაცებულ ხორბალს ფქვავდა, გერმანელ ჯარისკაცებს ავტომატები მოემარჯვებინათ და გარშემო უვლიდნენ გზაზე გაჭედილ ურმებს. უბილავას რაზმმა ჯერ წისქვილი ააფეთქა და მერე გრუხუნსა და არეულობაში გერმანელებიც მოსპო. მოგროვდა მთელი სოფელი.

— წაიღეთ თქვენი ხორბალი! — გასძახა გლეხებს უბილავამ. მშიერ-მწყურვალმა ადამიანებმა წაიყვანეს დატვირთული ურმები.

ასეთი პარტიზანული ბრძოლებით გზა გაიკაფეს და შეუერთდნენ საბჭოთა არმიის მომქმედ ნაწილს. აქ, თერგთან, პირველივე შეტაკებაში უბილავა კისერში დაიჭრა, მერე ძველი ჭრილობაც გაეხსნა. კრასნოდარის ჰოსპიტალში ერთ თვეში მოიკეთა და მოსკოვში უმაღლესი მთავარსარდლობის სარეზერვო ნაწილში ჩარიცხეს. აქედან ლენინგრადის ფრონტზე გაგზავნეს, მერე ბელორუსიის პირველი ფრონტის მეხუთე არმიის 79 კორპუსის რადიოკავშირის უფროსად გაიწვიეს.

აქ უბილავამ ცოდნა და ძალღონე არ დაიშურა. შეტევაზე გადასული საბჭოთა არმია მძიმე ბრძოლებით მიიკვლევდა გზას. წინსვლის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რადისტის მუშაობას და უბილავას ვაჟკაცობას სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა, იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

როცა სარდლობა მტრის ღრმა ზურგში გადასაგზავნად სატანკო დესანტს ამზადებდა, უბილავამ მაშინვე ითხოვა ამ დესანტში ჩარიცხვა. აქ სატელეფონო კავშირი შეუძლებელი იყო, ყოველგვარი ცნობები მხოლოდ რადიოს საშუალებით უნდა გადაეცათ. უბილავა შეუდგა საქმეს.

ჩვენი ახალი ტანკები წარმატებით გაიჭრნენ წინ მტრის ღრმა ზურგში, გადალახეს პოლონეთის საზღვარი და შეუერთდნენ თავიანთ ნაწილს.

საბჭოთა არმია, მისი მრისხანე ტექნიკა დაიძრა ბერლინისაკენ. გამარჯვება უკვე კარზე იყო მომდგარი, მაგრამ ჰიტლერელთა მთავარი ბუნაგი — რაიხსტაგი იარაღს არ ყრიდა. ღამღამობით რაიხსტაგის თავზე რაკეტები მწვანე ცეცხლებს აფრქვევდნენ. ყველა უტევდა, როგორც ფაშისტებს ეგონათ, ამ მიუვალ ციხე-სიმაგრეს, მაგრამ საბჭოთა მებრძოლები ვერავითარმა ძალამ ვერ შეაჩერა. მაკოვის ჯგუფის მებრძოლები პირველნი მიადგნენ რაიხსტაგის საპარადო შესასვლელს. უზარმაზარი ორპირი კარი შიგნიდან ურდულით აღმოჩნდა დაკეტილი, ვერაფრით ვერ გაალეს.

აქ იყვნენ უბილავა და მისი მებრძოლებიც. ისინი რადიოთი გადასცემდნენ თვითეულ ნაბიჯს. სარდლობასთან რადიოს სასიხარულო ცნობები მიჰქონდა.

რაიხსტაგის უკანასკნელი ღამე იყო, საშინლად ბნელი და ცივი. თუმცა მთელი ცეცხლი ამ შენობაზე ცვიოდა. ბედზე, ეზოში მორები აღმოჩნდა. ერთ-ერთ მორს ათიოდე მებრძოლი წაეფარა.

— კარგია, კარგი! — დაიძახა უბილავამ და რადიოაპარატს მიმართა, — თუმცა ნამეტნავად ძველ ხერხს მიმართეთ. მორებით ჩვენი მამაპაპანი ციხე-კოშკებს ანგრევდნენ.

რამდენიმე დარტყმის შემდეგ რაიხსტაგის საპარადო კარები შელეწეს. ეს ცნობაც რადიომ მაშინვე სარდლობას მიაწოდა. ფაშისტებმა არცერთი დერეფანი, არცერთი ოთახი არ დათმეს, ყველგან სისხლის გუბე დააყენეს, მაგრამ მათ თავზარი დასცა წითელმა დროშამ, რომელიც რაიხსტაგის თავზე ძლევამოსილად აფრიალდა. როცა ეს ცნობა რადიომ გადასაცემად მიიღო, უბილავა სიხარულით ცას ეწია და მაშინვე მელიტონ ქანთარიასთან გაიქცა.

— შენ გენაცვალე, მელიტონ, შენ გენაცვალე! — ეს იყო პირველი ქართული სიტყვები, რომლებიც რაიხსტაგის კედლებში გაისმა. ორი ქართველი ერთიმეორეს მხურვალედ გადაეხვია, მერე კი, გვიან, უბილავამ თავისი სახელი და გვარი რაიხსტაგის მარცხენა სვეტზე მიაწერა. ვისი სახელი და გვარი არ ეწერა ამ მარმარილოს სვეტზე?!

სარდლობამ უბილავა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა რაიხსტაგის აღებაში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის.

იმ დღეს უბილავასთან მოვიდა კაპიტანი მენდელსონი. სალამ-ქალამის შემდეგ ბერლინში გავლა-გამოვლა შესთავაზა.

— არა, საქმე მაქვს! — მიუგო უბილავამ.

— გეშინია?

— მშიშარა რომ ვყოფილიყავი, ბერლინამდე ვერც მოვაღწევდი.

— მაშ წავიდეთ!

— სად?

— ყველგან, ვნახოთ ქალაქი.

— რა ქალაქი კაცო, სულ ნანგრევებია.

— დანგრეული მტრის დანახვა გულს გაუხარდება.

უბილავა მეგობარს გაჰყვა. მათ ბევრი რამ ნახეს. ჰიტლერის სახლს რომ ათვალიერებდნენ, მენდელსონი გააოცა უზარმაზარმა კასრებმა, რომლებიც ტყვიას დაეცხრილა. ეზოში ღვინის ტბორი იდგა.

უცებ მტრის ბრმა ტყვია საიდანღაც წამოვიდა და მენდელსონს ნიკაპი დაუღეწა. უბილავამ მეგობარი ზურგზე წამოიკიდა და საავადმყოფოში მიიყვანა. იქ ექიმმა მაშინვე ოპერაცია გაუკეთა და დაღუპვას გადაარჩინა.

უბილავას და მენდელსონის მეგობრობას დღესაც არ დაუკარგავს ეშხი და სილამაზე. მართალია დღეს თოფი ხელში არ უჭირავთ, მაგრამ ფრონტზე დანთებული ძმობის ცეცხლი ახლაც მძლავრად გიზგიზებს.

უბილავას არ ივიწყებენ ფრონტელი მეგობრები, ხშირად უგზავნიან წერილებს. ახლა ისინი ბრძოლაზე და გაჭირვებაზე კი არ სწერენ, არამედ — მშვიდობიან ცხოვრებაზე, შრომაზე. ომის გახსენებაც არ უნდათ.

ომი და განსაცდელი მარტო უბილავას არქივში ცოცხლობს მტკიცედ უკრილი. ამ არქივშია დიდძალი ფოტო-სურათი, ზოგი ხარკოვსა და ზოგიც ბერლინში გადაღებული, მთავარსარდლის მადლობები, დასტა-დასტად შეკრული წერილები, გაზეთები, ათასგვარი საბუთები და უბის წიგნაკები. ამ ქაღალდებს უკვე ფერი წასვლია, მაგრამ ორდენები და მედლები ისევ ისე ბრწყინავს, როგორც ამ ოცი წლის წინათ და მოგვაგონებს იმ შავბნელ დროს, როცა ქვეყანას ფაშისტური ცეცხლი სწვავდა. ამ ცეცხლმა ვერ გაუძლო სამართლიანი ხალხის ცეცხლს და თავის დამწყებებიანად ჩაიფერფლა.

კლიმენტი ბოგიავა

მზე თვალმაისა

ოთარ შალამბერიძე

თანდათან ეზოში შედის ზაფხული.
ხალხიც თბილისის ზღვისკენ დაიძრა.
მზეს ჭარბად ადევს ფერი ზაფრანის,
მაისს უცინის
მზე თვალმაისა!
გამოფენილან ახალგაზრდები,
სვამენ ლიმონადს,
ნაყინს ლოკავენ
და ერთმანეთში ახურდავებენ
ათასგვარ სურვილს და კილოკავებს.
როგორც მუჭაში სველი ქვიშა,
თვალდახამხამებში ქრება კვირადღე;
კვირადღე
რაღა კვირადღეს ნიშნავს,
თუ ერთი ნატვრაც არ გაინაღდა?!
დღეს არ გაქვს ნება —
არ დაიჯერო,
რომ არასოდეს არ მოხუცდები;
მიაქროლებენ საკუთარ ჩრდილს
ხალხით გავსილი ავტობუსები!
ავტობუსები მიჰქრიან ქშენით,
დღეს არ გაქვს ნება —
იყო გულცივად.
ზღვისპირს შიშვლდება თაობა ჩვენი
და ჟანგისფერი კანი უბზინავს!

თაობა ჩვენი —
მაღალი ძაბვის,
დამუხტულია მზით და ლირიკით;
ამ საუკუნის დინება მძაფრი
სხვაგვარ თაობას ვერც შეირიგებს!
ეს აღმაფრენა შევიტკბე სულმთლად,
ეს დაჯერება მე თავბრუს მახვევს;
ისე ვგრძნობ ჩემი ეპოქის სუნთქვას,
როგორც საკუთარ სხეულში ძარღვებს!
მაშ, რამდენი ფიქრი ლამაზი
დღეს უნებურად სისხლს აგიჩქარებს...
თბილისელ მძღოლებს ხელი გახსნიათ
და წამდაუწუმ ცვლიან სიჩქარეს!
თანდათან ეზოში შედის ზაფხული
და მწვანე ფერი
ერევა სხვა ფერს;
ასე ვთქვათ,
ცაა მართლაც ზღაპრული,
დაბლა რა უნდა ბავშვობის ზღაპრებს?!
დღეს არ გაქვს ნება —
არ დაიჯერო,
რომ არასოდეს არ მოხუცდები;
მიაქროლებენ საკუთარ ჩრდილს
ხალხით გავსილი ავტობუსები!

მიძღვნა გამარჯვების დღეს

28 აპრილს ხელოვნების მუშაკთა სახლის საზაფხულო დარბაზში გამართა დიდი სამამულო ომის დამთავრების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის სახ. რაიკომის მდივანმა ი. თურმანიძემ.

სამამულო ომში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მონაწილეობაზე ილაპარაკეს პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ, სსრკ სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა, სსრკ სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, პოეტმა ი. ნონეშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი თბილისის თეატრების მსახიობთა მონაწილეობით.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს, 1 მაისს, შრომითი წარმატებებით ეგებებიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები. შემოქმედებითი შრომის ფერხულში არიან ჩაბმულნი თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლები, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლებს პირდებიან, რომ კომფორტაბელური ვაგონებით მიმდინარე წლის ბოლოს გაივლიან მიწისქვეშა გვირაბებს.

სურათზე: თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლები, მეხუთე უბნის გვირაბგამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, ბრიგადირი გურამ კენტრაძე (ცენტრში), ავთანდილ შარაბიძე (მარცხნივ) და ავთანდილ რევიშვილი.

ფოტო ს. კალაძისა.

ბოლო მოთხრობა გიორგი შატბერაშვილისა

კრებულისთვის ახალი მოთხრობა ვთხოვე, მორიდებით, გაუბედავად ვთხოვე — ახოს წამების რომანსა წერდა, კინოსცენარსა წერდა, „ჰამნიეს" ისევ დასტრიალებდა, არჩევდა ქართული სიტყვის ხიდდველებს, ახალ პიესაზე ფიქრობდა მომავალი სათეატრო სეზონისათვის, ლექსების რვეული მოუხაზა და თავისებურად, დინჯადა მეუთავედა, დრო რომ ვერ გაიგნა, აღარა ჰყოფნიდა წუთისოფელი. ამიტომაც ვთხოვე მორიდებითა, გაუბედავად. ისევე გაუბედავად დამთანხმდა, ოღონდ დათქმულ დღეს მაინც გამოიწოდა ახალი მოთხრობა. ერთ მოულოდნელობას ამ გაზაფხულის ალიონისას, ამ ცვალებადობა შემობამი და მამალხინეს სიკვდილი დაწერა. „მამალხინე მოკვდა?!" — ამომცდა ისე, წამოუმრავლად თქმობა, გაკვირვებადაც. ტუჩები წამოსწია, თითქოს უნდა გაესუხნა, მაგრამ ღიმილი წამოეფინა, ცივი ღიმილი, მრავლისმეტყველი, იგმარა ის ღიმილი, რაღაც მორიდულს მიაჩერა თვალი, — თითქოს სიკვდილს მიახერხებდა და დასცინოდა ამაოებას წუთისოფლისა.

მამინაც იღიმებოდა... თვალადის ორიობაებში დავდიოდით და ვხალისობდით. ჩემი-გამკვდებოდნენ თვალადელები, სალამსაც არ ვაცდიდით, — ეს ხომ არ არის მამალხინე, — გამომწვევად შევძახოდით მასპინძელსა; რაც უფრო ნაკიანი იყო მემხედური, შევძახოდით მით უფრო გამომწვევადა, შევძახოდით და ვიცინოდით უზრუნველადა. არათ, უარობდა, განა ამბობდა, მხოლოდ იღიმოდა და თავს იქნევდა საუარადა. გვეუბნებოდნენ მოხუცნი ვაჟკაცებიცა, იმათაც უარობდა. არც ჩვენ ეშვებოდით, არც იმისი დასტური სჩანდა, იღიმოდა და თავს აქნევდა. მერე გაჯავრდა, გაბუზღუნდა, აქაური არ არის, წინარეხელიაო, ხიჭვა და ღიმილს უმატა თავდახსნილივეთა. მაშ წინარეხს წავიდეთ, მაშინვე ავყევით, მაგრამ ის ვერ ავიყოლიეთ; ვერც წინარეხში გვიჩვენებდა მამალხინესა და ვერც ავიყოლიეთ...

მამალხინე აქ იყო, თვალადში გახლდათ, თვალადშიაც და წინარეხშიაც, ყველგან კავთურის ხეობის შუქლებაზე, კავთურისა და სხვა ხეობათა, მთელად საქართველოში იმერ და ამიერ; იყო და არც იყო, ვერც ერთი, ერთად გამოყოფილი, გამოცალკევებული არ იყო; იყო და არც იყო, რაც რომ სიკეთე მოიძებნებოდა ქართველი კაცისა, მასში შეერთებულიყო, შეწნულიყო, შეზავებულიყო: მერადიც ის იყო, გულადიცა, მოყვასთა გამტანიცა, პირში გაუტეხელიცა, სიცოცხლის ტრფიალიცა, სიკვდილთან უშიშარიცა, წინაპართა ღირსიცა, შთამომავალთა ვაჟკაციც; ის იყო, ძნელი საუკუნენი რომ გადაიტანა, ის იქნებოდა გამამხნევებელი და წამათამამებელი მაგალითი ხალხისა; იყო და არც იყო, ხალხის საუკეთესო თვისებანი იმის ფიქრებში ერთ იდეალად, ამაღლებულ აზრად ჩამოქნილიყო და მამალხინე იმას დარქმეოდა; იყო და არც იყო, შთაგონებულიყო, გაბრუებულიყო, უნდა გამოეძერწა, გამოექანდაკებინა, ცხადეყო და, რომ შეატყობდა, მოიხიბლებით, მაშინღა ეთქვა: აი ეს არისო, ჯერ არ იყო და ღიმილით იროდებოდა მეხუმრებულთა წამოძახილებსა, მხნედ იღიმოდა, იმედიანადა, მრავლისმეტყველადა: ლექსში აჩოახამდა მამალხინეს განცდებსა, მოთხრობაშიც გადაიტანდა პირვამოცლილის იმედოვნებასა, პიესაშიც გამოიყვანდა, პატარ-პატარა შემთხვევებს ამოკრებდა ცხოვრებიდანა, ცალკეულ ამბებში თანდათანობით, ნელნელობით გამოიტანდა მამალხინეს ძლიერ ხასიათსა, თანდათანობითა, ნელნელობითა, და თავის დიდ ნაფიქრს მიუახლოვდებოდა მამალხინე შთაგონებდა, მამალხინე იწვევდა, მამალხინე ავლუღოდა ლექსებში, პიესებში, მოთხრობებში ხომ და ხომ, ფილოლოგიურ ნარკვევებს რომ სწერდა, იქაც მამალხინე უდგა თვალწინა; კახეთსა თუ სამეგრელოში, თიანეთსა თუ გურიაში რომ მოგზაურობდა, ქართველი კაცის დიდ სიკეთეს აკვირდებოდა, ხიბლის დიდ ნამოქმედარს იძიებდა, თავის მამალხინესათვის იძიებდა, იდეალური გმირისათვის უნდოდა, ყველასათვის შესაბამი გმირისათვის უნდოდა და შემოქმედებით უახლოვდებოდა შემართებულ დიდებულ იდეალსა... და უცებ — „მამალხინეს სიკვდილი"!.. განა მოკვდა მამალხინე? ჰა?! ის მხოლოდ მრავლისმეტყველად იღიმოდა, ოღონდ არა ისე მრავლისმეტყველი იმედოვნებითა, მაშინ თვალადში რომ დასთამამებდა წამოძახილ ტუჩებზე.

ვიცი არა კვდება და ბოლოს მამალხინეც მოკვდა... ასე იწყება „მამალხინეს სიკვდილი", ამასვე თუ ამბობდა ის ღიმილი ცოტა სევდიანი და მრავლისმეტყველი. გაზაფხულისას მოკვდა, ნუშისა და ატმის კვირტები რომ სკდებოდა; სუსხი უსწრებდა გამოყრილ ყვავილებს, შეუჩავდა, ფურჩავდა, მაგრამ შემთხვევით თუ არა ჰაერი, სხვა კვირტები დაიძახებდა; კვირტი უჩნდოდა ავდრიანსა, ნაზი და სუსტი ძლიერს ეჭიდებოდა. შავი ღრუბლები ცასა ჰფარავდა, ჰფარავდა, ჰქუხდა, მაგრამ მზის სხივი გამოაპრწყინებდა თუ არა, კვირტიც იბრძოდა თავგამეტებითა: კვირტი სკდებოდა, მამალხინეს მიაცილებდნენ; მამალხინეს მიაცილებდნენ და ვიღაც ჯვაგიერ მისდევდა ლანდადა. ეს ლანდი ვიღაა, ვინ გაამწარა კეთილი ადამიანი, გაამწარა, მაგრამ ვერა სძლია, ვერ დაუკარგა ვერა ხალისი, ვერც იმედიანება, კარგი კაცობა ვერ დაუკარგა, მაინც ვინაა?.. — აქ არ ახსნილა, არც აღარ თქმულა, ეს ისევ მწერლის ფიქრებში იყო, ფიქრობდიეც დარჩა, აღარ დასცალდა, ამ იოგ გაზაფხულის პასაკა, გადაჰყვა, ცივსა, მძუხავსა, კვირტი რომ მაინც თავისას არ იშლის, ადის, ზეიწევს, სკდება და სკდება, და თურმე ქვეშივეც გამოაჩნევს მაზიარელს სმენა, კვირტი რომ სკდება. იგრძნო თუ რა იყო?! თუმცა ვიცი აღარა კვდებაო, მაგრამ უნდო იყო მისი სიკვდილი...

მართლაც ვიცი არა კვდებაო და მწერალიც კვდება. ზოგს შემოქმედებითი გზნება დიდიხანია მოუთავებია და მწერალი კვდება, ზოგი კვლავ გიზგიზებს, ახალი ძალით აელვებული და უცებ, ულმობლად, უნდოდა კვდება. სიკვდილისათვის ყველა დახანაა, მაგრამ სხვა არის ეს სინანული, ეს დანაკარგი სულ სხვა რამ არის, ანაზღაურება აღარავის შეუძლიან. ახლა ის სრულს შემოქმედებითს ხანწიფეში იყო, — როგორც მხატვარი, თავისებური და მომხიბლავი დიდიხანია გამოკვეთილიყო, როგორც მესაიდუმლე ქართული სიტყვისა, უხალოდ იიქმოდა, ცხოვრებას მრავალმხრივ გამოეცადნა, სიუჟეტებით ავსებულიყო, სახეები გარს ეხვია უამრავი და რაცა ყველა, — დრიღა უნდოდა, დრო სულ მცირედი, ვთქვათ, თუნდაც ერთი ათიოდე წელიწადი, ერთი, ერთადერთი, ის ერთი ათიოდე, უაზროდ რომ დააკარგვინეს და გაუნიავეს. მაგრამ ვუცლას, დასაკარგად ადვილი ყოფილა, აპოსაგებად ძალიან ძნელი, ხედ თუ განგებას წამიც აღარ გაუმეტება. დაეკარგოს თუ დაეკარგვინეს, სანაცვლოს აღარ შემოგთავაზებს. ალბათ იცოდა იმ დოლიცელიშვილმა და ავერ ამ ბოლო ხანს ამიტომაც იყო, რომანის ჭაპანში რომ შეამელიურ, ლექსის, მოთხრობის, სცენარის, პიესის ჭაპანიც არ მიეტოვებინა. ძალაც ერჩოდა, ქედიც დონიერი დასყოლოდა და ეწეოდა, გულდაგულ ეწეოდა და ვეღარ გაიტანა ბოლომდისა, ვერ მოათავა, ვერ მოათავა და დაიკარგა, ეს ხომ დაიკარგა, თან მიჰყვა სხვაც ბევრი რამ ჩანაფიქრი, ვინ იცის, როგორი, რა ძალისა, რა მომხიბვლავი!.. თუმცა თუნდაც ყველაფერს თავი დავანებოთ, ამის რომანის მოუთავებლობაც უდიდესი დანაკლისია. დაწყებული თავები, მონახაზები და მეგობრებთან ნაუბარი მოწმობს, რომ ეს იქნებოდა ახალი რომანი, სრულიად ახალი, ისტორიიდან არ გამოიკვეთებოდა არაფერი დამახინჯებული, არცა ენა თუ სტილი, არცა სხვა რამე, მოხსნილი იქნებოდა ისტორიული პირობითობა და გაცოცხლდებოდა ძლიერი ადამიანი, დიდებული გმირი, დიადი სხვა აზრისათვის, სიმართლისათვის წამებულისა; გაცოცხლდებოდა, საამისო ძალა შესწევდა. დარბაისელი მხატვარი გახლდათ, ძლევულოვან ადამიანთათვის შესაფერისი სტილი ჰქონდა, დინჯი, დახვეწილი, ხატოვანი, ალხავსე აზრითა და სახეებითა. საუბრისას ზოგჯერ ენამახვილი, აკიტირ ბევრი კალამბურისა და პაროდიისა, საწერ მაგიდასთან საოცრადა დინჯდებოდა, ღრმავდებოდა, უყვარდა განცდების იდუმალებაში და ადამიანის ბედს შემლეოდა სევდიან ხმაზე. მერე ხუმრობდა, პაროდიების მობეზრებას ასვე იყო... თითონაცა თბილი იუმორით, ადამიანის სიყვარულით აღსავსე ხუმრობებსა, თითონ იმიტომ. დიდი სევდისგან რომ დაიხსნა თავი, ლაისვინა, ძალა მოეცრიდა, მომხანდელ მაიდან მიაბრუნებოდა გაცხადებული, განახლებული.

მიბრუნებოდა... და მიუბრუნდებოდა დამღამობითა, გვიანობისას, ყველას რომ ეძინა. იმისი ბინიდან მოსჩანდა გაშუქებული ქალაქი, დაბლა მოსჩანდა კური, ხმაური. მაშინ იყო ამაყი, თითქოს განგებაზე გადაქცეულიყო და წერდა ბედსა ადამიანთა, ხალხის ბედსა წერდა. ჩქარობდა, სწრაფობდა, განთიადისას რომ გაეღვიძებინა და წაეკითხა. ზოგჯერ ამინდიც საწყენს მიაგნებდა და მიუბრუნდებოდა უფრო ადრე გაეღვიძებინა, იმხიანად გადაეხსნა, წამით გაეღვიძებინა და კვლავ მიუბრუნდებოდა ღრმა ძილისთვისა; მიუბრუნდებოდა და ეწერა, ძალიან შეაწევდა, ის ხომ მაღლა იყო, მთელ ქალაქს დაჰყურებდა იმისი ბინიდან, ჩაძინებულ ქალაქსა; ზოგჯერ შეაშინებდა ეს დიდი სიჩუმე, ღამე მდუმარი შეაძრწუნებდა და წერდა მზის სადიდებელსა: „მზისკენ, დიდ მზისკენ, მხურვალე მზისკენ, გაუპარავად შეუდლის მზისკენ..." — წერდა და მოუთმენდა, ხოლო შეძლებისას, მზის ვარვარისას ვერის დაღმართებს დაუყვებოდა, დათვალიერებდა, ხალხის ნაავდრევს აცურებდა და ჩაიარდებოდა ხალხის დინებაში, დიდ მდინარეში ჩაიკარგებოდა. ჩაიკარგოდა, მაინც ეს ერჩივნა იმ განმარტოებას, მდუმარებას, უძრაობასა. მოსვენება როდი, სიკვდილს აგონებდა ის მდუმარება, ამიტომაც, ბოლო დროს მაინც, სიკვდილზე წერდა, ბევრსა წერდა, წერდა სიცოცხლის დიდი სიყვარულითა და შიშაც იქნებოდა ამითი.

ამის რომანიც სიცოცხლისათვის ბრძოლა იქნებოდა, მართალი სიცოცხლისათვისა, სწრაფვა იქნებოდა შუქისა მზისკენ, მაგრამ ცამ დაჰკრა და „მამალხინეს სიკვდილი" დასწერა, — სიკვდილი გაზაფხულის არეულ დარში, სუსხში, ელვაში, ადრე გამოყრილი ყვავილი უმოწყალოდ რომ იმუშება და ფარფატებს ქარში; დროდადრო მზე გამოიჭრება და ერთბაშად აიწევს სხვა კვირტები, აიწევს და დასკდება, გადაიშლება, მაინც იბრძოლებს, მიწა იბრძოლებს... ალბათ იგრძნო, ალბათ თავისი სიკვდილი დაიხატა!

ოთარ ჩხეიძე

1945–1965

პირველ ოთხ დღეს

1941 წლის ზაფხულზე ჩემი ლეგიონი მშვიდად ვიდექით დასავლეთ ბელორუსიაში, გოსპოდსკი-დვორისტროვანში, ქალაქ სემიატიჩიდან ჩრდილოეთით 18-20 კილომეტრზე. ჩვენი დივიზიის სხვა ლეგიონები და სპეციალური ნაწილები განლაგებული იყო თვით სემიატიჩში. მანაკის დასავლეთით, 3-4 კილომეტრზე ჩადიოდა მდინარე ბუგი. ჩვენი და ფაშისტური გერმანიის ბუნებრივი საზღვარი. ბუგის განაპირას იდგნენ ჩვენი მესაზღვრე რაზმეულები. ისინი ეწეოდნენ სასაზღვრო სამსახურს და უთვალთვალებდნენ მტერს.

22 ივნისის ღამეს, მეცადინეობიდან დაბრუნებულ დაღლილ ჯარისკაცებს ტკბილად ეძინათ. დილის ხუთი საათი იქნებოდა. საშინელი გრიალის ხმამ გამოგვაღვიძა. მას მოჰყვა თვითმფრინავების გუგუნი. ჩვენს უკან, 10 კილომეტრზე მდებარე აეროდრომს ბომბავდნენ.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა განგაშით ფეხზე დავაყენე და იქვე ახლოს მდებარე ტყეებს შევაფარეთ თავი. სასწრაფოდ გავგზავნე ზიარაკი მეტყვიამფრქვევეთა დანაყოფში. ისინი შეკრებაზე იყვნენ წასულნი. 22 ივნისს, დილით მე თვითონ უნდა ჩამეტარებინა მეცადინეობა, ამავე დროს ცხენოსანი მზვერავები დავუყოვნებლივ მდებარე ბუგზე განლაგებულ რაზმეულებს. 10-15 წუთში მთელი ლეგიონი მზად იყო ბრძოლისათვის. ყველა ბატალიონს თავისი უბანი ეჭირა. სამეთაურო პუნქტები ორგანიზებული იყო. ყველანი უცდიდნენ სათანადო განკარგულებას. განკარგულება კი არსაიდან ჩანდა. დივიზიასთან კავშირი არ გვქონდა. რადიოკავშირიც გაწყვეტილი აღმოჩნდა. წინასწარ შემუშავებული გეგმაც არ გვქონდა. ვმოქმედებდით საკუთარი ინიციატივით მოქმედებით რაიმე პროვოკაციის არ წამოვეგებოდით და მოუთმენლად ველოდით გაგზავნილი მზვერავების დაბრუნებას. მტრის თვითმფრინავები კი თანდათან აძლიერებდნენ დაბომბვას და ამას თან ერთვოდა არტილერიის ცეცხლი...

ჯერ კარგად არ ვიცოდით, რა ხდებოდა საზღვარზე. მაგრამ მალე დაბრუნდნენ ცხენოსანი მზვერავები, თან მოიყვანეს სამი დაჭრილი მესაზღვრე და მოგვახსენეს: გერმანელებმა გადმოლახეს მდინარე ბუგი და გამოღმა ნაპირზე პლაცდარმი დაიკავეს. მესაზღვრეებს საკუთარი ძალებით მათი გამკლავება ვერ მოუხერხებიათ. ჩვენ ალყაშემორტყმულნი აღმოვჩნდით, ახლა კი საჭირო იყო დამოუკიდებელი და სწრაფი მოქმედება. ჩემს ბატალიონებს მიზნად დავუსახე მტრის პლაცდარმის მოსპობა, დილის 10 საათისათვის გერმანელები ბუგში გადავყარეთ. მტერმა თვითონვე ააფეთქა თავისი ჯარების გადმოსასხმელი ბორნები. ჩვენ დავიკავეთ ბუგის მარცხენა ნაპირი; ეს იყო 18 კილომეტრის სიგრძე თავდაცვა-მოგერიების ხაზი.

ჩვენს მარჯვნივ, დაახლოებით 25-30 კილომეტრზე მდებარეობდა ქალაქი ცეხანოვეცი. ამ ქალაქიდანაც ისმოდა ზარბაზნების, ყუმბარებისა და თვითმფრინავებიდან გადმოყრილი ბომბების აფეთქების გრუხუნი. ეტყობოდა, იქ მძაფრი ბრძოლები იყო გაჩაღებული. მარცხნივ, ქალაქ სემიატიჩშიც ასეთივე ამბავი იყო... ჩვენს წინ კი მოწინააღმდეგე მაინცდამაინც დიდ აქტივობას არ იჩენდა. უკვე მოვასწარით სანგრების აგება და გარემოსთან შეხამება, მტრის თვითმფრინავები ვერ გვამჩნევდნენ.

ჩემი ლეგიონის წინ მდგომარეობა გარკვეული იყო, მხოლოდ არაფერი ვიცოდით, თუ რა ხდებოდა მარჯვნივ ქ. ცეხანოვეცში და მარცხნივ ქ. სემიატიჩში, საიდანაც სასტიკი ბრძოლების ხმაური მოდიოდა. გავგზავნე მეკავშირეები სემიატიჩში დივიზიის შტაბ-ქართან სათანადო განკარგულებისათვის; უკვე ღამდებოდა, როცა მომახსენეს: ქ. ცეხანოვეციდან მტრის ტანკები მარჯვნით ჩვენსკენ მოიწევენო. მაგრამ ამ მიმართულებით სათანადო ზომები მქონდა მიღებული დილიდანვე. მოწინავე ტანკები ნაღმს წააწყდნენ და აფეთქდნენ. დანარჩენებმა უკან მოჰკურცხლეს.

22 ივნისს საღამოს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ჩვენთვის, თუ სად და როგორ მოქმედებდნენ ჩვენი სხვა ნაწილები. ერთი კი აშკარა იყო: ქ. სემიატიჩის მიმართულებით ბრძოლები ისევ გრძელდებოდა და იქ მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს ჩვენები; ქალაქ ცეხანოვეცში კი მტერს პლაცდარმი დაეკავებინა. რადგან მისი ტანკები იქიდან აპირებდნენ ჩვენზე იერიშის მიტანას.

ჩვენი თავდაცვის ხაზის წინ ჯერჯერობით სრული სიჩუმე სუფევდა. მოწინააღმდეგე მნათი რაკეტებით ხშირხშირად ანათებდა წინამდებარე მიდამოს. ბნელი და მოწმენდილი ღამე იყო. რაკეტების სინათლეზე ადვილად გასაგები და მისახვედრი იყო, თუ სად იყო საერთო ფრონტის მოხაზულობა. ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ მტერი ღრმად იყო შემოჭრილი.

გავეცი განკარგულება: ტანკსაწინააღმდეგო ადგილები უფრო მჭიდროდ დაენაღმათ. ჯარისკაცებისათვის დაერიგებინათ სამი დღის საკმარისი სურსათსანოვაგე (სულ გვქონდა 5 დღის სანოვაგე). გამოეყოთ საველე ყარაულები, დანარჩენი ჯარისკაცები დაეძინებინათ. გავაფრთხილე ბატალიონთა მეთაურები, რომ მეორე დღეს, ე. ი. 23 ივნისს სასტიკი ბრძოლები მოგველოდა და ახლა ყველასათვის გასაგები იყო, რომ პროვოკაცია კი არ იყო, გერმანელმა ფაშისტებმა ნამდვილი ომი დაიწყეს.

ღამის თორმეტი საათი იყო. დასასვენებლად წამოვწექი. ძილი არ მეკარებოდა და სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ უნდა გვებრძოლა ხვალ ან ზეგ, ამოდენა უზარმაზარ ძალას რა გააჩერებდა და რა გაუმკლავდებოდა. მარტო ჩვენი ლეგიონი სხვა ნაწილებთან დაუკავშირებლად რა წინააღმდეგობას გაუწევდა მრავალრიცხოვან მტერს! ისიც ვიცოდი, რომ ასეთი დამოუკიდებელი და ცალ-ცალკე მოქმედება მაინცდამაინც დიდ ზიანს არ მიაყენებდა მტერს. საჭირო იყო ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა და გაერთიანებული ძალებით მოქმედება. მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ხერხდებოდა. ვინაიდან ზევიდან არ იყო მოქმედების ერთიანი გეგმა, ისე კი ერთმანეთს არავინ არ ემორჩილებოდა.

მე და ჩემი კომისარი ვსაუბრობდით ხვალინდელი დღის ბრძოლებზე, როცა (დაახლოებით 2 საათზე) დაბრუნდნენ მზვერავები ქ. ცეხანოვეცის მიმართულებიდან და მოიტანეს ამბავი, ქალაქი გერმანელთა ხელშია, მტერი დიდი ძალებით ქალაქ ბელოსტოკისაკენ მიემართებაო. ღამის 3 საათზე ქალაქ სემიატიჩიდანაც მოვიდნენ მზვერავები და მოგვახსენეს — ქალაქი ფაშისტებმა აიღეს, ვერც ჩვენი დივიზია და ვერც მასში შემავალი ნაწილები ვერსად ვნახეთო, როგორც ჩანს, ჩვენებმა უკან დაიხიესო.

23 ივნისს, დილით, მტრის დამზვერავმა თვითმფრინავებმა გადაგვიქროლეს თავზე. მაგრამ, ეტყობა, ვერაფერი შენიშნეს და გაფრინდნენ. ძალზე მოხერხებულად ვიყავით შენიღბული. საჭირო იყო შევერთებოდით ჩვენი დივიზიის ნაწილებს. თავდაცვის ახალ ზღუდეზე გადავსულიყავით და ერთიანი ძალით გვებრძოლა.

ახალ ზღუდეზე გადასვლა საღამოს 7 საათზე დავიწყეთ. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და მოფიქრებული. პირველმა ბატალიონმა დაიწყო ყალბი შეტევის დემონსტრაცია. ატეხა ძლიერი სროლა და ხმაური. ამ დროს გავიდა ავანგარდი — 2 ასეული ჩემი მოადგილის პოდპოლკოვნიკ პაატაშვილის მეთაურობით. 30 წუთის შემდეგ მას მიჰყვნენ სხვა ნაწილებიც — მთავარი ძალები და სახარჯულები. სროლასა და ვაზგაშზე გერმანელები დაიბნენ. ეგონათ, იერიშზე გადმოდიან და ქალაქ ცეხანოვეცის დაბრუნება უნდათო. მანამდე თითქო ბელით უნდა გავედით მდინარე ბუგზე გადასასვლელი ხიდი, რომელიც მათ გაჰქონდათ წინა დღით (ეს შემდეგ გამოვარკვიეთ ტყვეებისაგან). ვიდექი და ვუთვალთვალებდი პირველი ბატალიონის მოქმედებას. რომელსაც მეთაურობდა ლეიტენანტი მუხინი, ფინეთში ჩემთან ნამყოფი (1939-40 წლებში). მზვერავთა ოცეულის ნაცადი მეთაური. იგი ვაჟკაცურად იბრძოდა ცხენზე ამხედრებული. ძლიერ გამიკვირდა, ცხენზე რომ იჯდა, სად იშოვნა მეთქი — ვფიქრობდი. ცოტა ხნის შემდეგ გამოვუძახე. სწრაფად მოვიდა, ორმოცდაათიოდე მეტრზე დატოვა ცხენი და ჩემთან მოირბინა. ჯერ დავტუქსე. ასე ცხენს რომ დააქროლებ ამ ბრძოლის ველზე. შეიძლება უცაბედმა ტყვიამ გამსხვერპლოს-მეთქი.

— ამხანაგო მეთაურო, იმიტომ დავაქროლებ ცხენს ბრძოლის ველზე, რომ მტრის ტყვია არ დამეწიოს, ხუმრობით მითხრა მან და დაუმატა:

— როგორც კი მივიღე დავალება, წავედი, ჩემი ბიჭებით დავუხვდი მტრის ცხენოსან მზვერავებს, სამი კაცი და ორი ცხენი შემოგვაკვდა. ეს ერთი ცხენი დამრჩა და ამა რა მექნა. მართლაც მოიტანა სამი ფაშისტის დოკუმენტები და საბრძოლო იარაღი. იგი კვლავ არიერგარდს დაუბრუნდა და ჩვენი ლეგიონი კი გეგმიანად განაგრძობდა ახალ ზღუდეზე გადასვლას.

24 ივნისს დილის 4 საათზე, უკვე დაბა ბოცქში ვიყავით, სადაც თავდაცვის ახალი ზღუდე დავიკავეთ. ბატალიონებმა რიგრიგობით დაიკავეს სანგრები და შეეხამნენ. ამ დროს ჩემთან გამოცხადდა ერთი უფროსი ლეიტენანტი და მომახსენა: ერთ-ერთი კორპუსის საარტილერიო ბრიგადის ჩამორჩი, ვარ ბატარეის მეთაური, მაქვს 6 ტრაქტორი და თოხი [illegible] მილიმეტრიანი ქვემეხი, [illegible] ... თავისთავად [illegible] ნენ. გვაკლდა მხოლოდ მუხინი. ისიც მალე გამოჩნდა თავისი ვაჟკაცებით, ქვეში მათგანი ცხენებზე იყო ამხედრებული. გზად მტრის ცხენოსან-მზვერავთა ათეულს წააწყდომოდნენ. რამდენიმე მათგანი მოეკლათ და ეს ცხენები ჩვენთან მოიყვანეს.

იმავე დღეს, ღამის 12 საათზე, როგორც იქნა, დავუკავშირდით ჩვენს დივიზიას. დივიზიის მეთაური გენერალი ალავერდოვი გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა: ამხანაგო ჯახუა, ჩვენ უკვე გამოვგლოვეთ შენც და შენი ლეგიონიც. ყველას დაღუპული ეგონეთ. ოფიციალური პატაკის შემდეგ დაწვრილებით ვუამბე ჩვენი ორი დღის ბრძოლების ამბავი. გაუხარდა და ძალზე მოეწონა, მოხერხებით რომ დავაღწიეთ თავი მტრის ნაწილებს. გამოიძახა მუხინი, გადაკოცნა და შეაქო.

25 ივნისს დილით გამოჩნდნენ მტრის კოლონები, რომლებიც თანდათან გვიახლოვდებოდნენ. ჩვენ წინ, ბოცქის დასავლეთით, იყო ერთი დიდი ჭაობიანი ადგილი. შუაში მეტად ვიწრო გზით. სწორედ იმ დროს, როცა გერმანელები ამ ვიწრო ზოლს გადმოდიოდნენ, იგრიალა ჩვენი შორსმსროლელი ბატარეის ქვემეხებმა და ზუსტად ზედ დაარტყეს ჭურვები. მტრის რაზმები აირ-დაირივნენ, დაიშალნენ, ჭაობში გადაცვივდნენ. ქვემეხთა რამდენიმე ზალპმა დიდი ზიანი მიაყენა მათ. ამ დროს გამოჩნდა მტრის ავიაცია და იწყებ იმ ადგილების ბომბვა, სადაც წინადღეს ვიყავით. აქ ჩვენ ადგილსამყოფელს ვერ ამჩნევდნენ. ჩვენ კი ვანადგურებდით მათ კოლონებს, რამდენადაც შესაძლებლობა გვქონდა. იმ დღეს მტერს რაღაც დიდი დაბნეულობა ეტყობოდა. რადგან ავიაცია ცალკე ბომბავდა და კოლონები კი ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ურთიერთკავშირი არ გააჩნდათ... ასე რომ, 25 ივნისს იმ მიდამოებში უკვე აღარ ჰქონდათ შეტევის უნარი; დღის სინათლეზე მიაყარა მანქანებით მებრძოლი ძალები. მაგრამ, იმ უფროსი ლეიტენანტის ბატარეის წყალობით, არცერთი არ გადარჩენია ცოცხალი. დივიზიის სხვა ლეგიონები და სპეცნაწილები ჩვენს უკან ფლანგებში იყვნენ შეფარებული. იქიდან უშენდნენ მოწინააღმდეგეს. მტერი შორი ცეცხლით დიდი ზიანით იქნა შეჩერებული. ასე დამთავრდა ომის მეოთხე დღე.

და რამდენი ასეთი დღე, უფრო მეტად ძნელი, ძალზე მძაფრი და სასტიკი ბრძოლებით აღსავსე დღე გადავიტანე შემდეგ, ომის დამთავრებამდე.

ა. ჯახუა,
თადარიგის გვარდიის გენერალ-მაიორი.

განათებული ტევრი

დავით თაქთაქიშვილი

დამჭენათვე თოვლს ხრაშახრუშით მითელავდა ტყისპირა გზაზე მიმავალი ახოვანი მოხუცი, ერთგან შედგა, შეისვენა, ღრმად ამოისუნთქა.

ზანტად მოარულ ღრუბლებს, ქვევიდან ანარეკლი შექცასავან თოვლის სითეთრე დაჰკრავდათ. მხოლოდ ერთგან, თითქოს საგანგებოდ, კაბადონის ვიწრო ფანჯრიდან ხირმებივით ემვებოდნენ მზის სხივები და თავისი ოქროს მტვერით აპარაყებდნენ ხევიდან აცურებულ ნისლის ტიეებს. უფრო ზევით კი, მთის ნაკეცებში, იმავე სხივების ძალით, ფაფუკი თოვლი კიდევ უფრო ჯადოსნურად ყამოიყურებოდა.

ბუნების მშვენიერებამ დაიპყრო მოხუცი, მერე ნაკვალევ შეწუხებულმა ხმამ მიიქცია მისი ყურადღება. მოხუცმა მხარი აიჩინა და გვერდზე გადაცურებული ნაბადი გაისწორა. შემოიწერა წელზე ხანჯლის სიმძიმით მოჩვენებული ქამარი, გადაუხვია გზიდან და მეზნარით შეჩენილ მთის მერიდებისაკენ გასწია. მალე ტევრსაც მიაღწია, ჯგუფ-ჯგუფად გაფანტული კოლმეურნენი სჭრიდნენ საუკუნოვან ხეებს. ამ ხეთა სიძვე ზოგჯერ სამი ვაჟკაცის მკლავებითაც ვერ ისალტებოდა. მსუბუქად აიარა აღმართი და ის იყო სწორზე გავიდა კიდეც, რომ ძაღლის ყეფამ და ღორის საზარელმა ჭყვირილმა გადააყრუა იქაურობა.

რა უნდა მომხდარიყო? — გაფიქრებაც ვერ მოასწრო კლდის ქიმთან შემდგარმა მოხუცმა, რომ მის ქვევით მოსახვევიდან მგელი გამოიჭრა. ნადირი ბუმბულის სიმსუბუქით მიაქროლებდა ზურგზე მოგდებულ, სისხლით დათხუპნულ ბურვაკს. მწარცხელს შეძულულივით მისდევდა ემვებკადმოვარდნილი ხიმხირა ქოფაკი. მოხუცმა სწრაფად დააძრო ხანჯალი, თვალით მოზომა გადასახტომი ადგილი და ქვევითა ბილიკს ადევნებული მგელი როცა გაუსწორდა, დაახტა, თავში ჩააჩარცხა ორლესული.

ნადირმა დაიმუხლა. გაპობილი თავიდან სისხლის თქორი წამოუვიდა, გაისავსავა ენა, ჩაიმუხლა, მიეგდო თოვლზე და ძალუმად დაჰკრა კიდურები. როცა მგელმა უკანასკნელად გაადათვალა თათები, ძაღლმა აცქვეტილი ყურები ჩამოყარა და ლასლასით გაემართა მოხუცისაკენ.

ყელგამოღადრული ბურვაკი სისხლის ლაქებით აჭრელებულ თოვლზე ეგდო.

მალე აქვე მოიყარეს თავი მგლის მდევრებმა.

— რა გეჭყარებოდათ? — საყვედურით შეეგება მოხუცი მოსულებს.

— ჩანთო პაპა, ე ბურვაკი დღეს მაინც უნდა დაგვეკლა.

მოხუცმა ჯერ დანარჩენებს შეხედა, მერე თვალი თვალში გაუყარა მოპასუხეს და ყველას გასაგონად ჩაიბურტყუნა: — კაცის გასაკეთებელ საქმეს მგელს არ ანდობენ.

ყველანი უხმოდ შეუდგნენ საქმეს. ორი მგელსაც სწვდა, მესამემ ზარზე მოიგდო ბურვაკი. სალაღებთან მიჰქრით, თითოთითოდ მიაბიჯებდნენ. თოვლს უნაზესად ეკვროდა ძაღლის თათების ნაკვალევი, რომელიც არშიის მსგავსად ადევნებოდა ჩუქურთმისაგან ჩაღრმავებულ ნაკვალევებს.

მალე გამოჩნდა ტევრის შუაგულში კარვების წინ პატარა მინდორზე გაჩაღებული კოცონი. ჩანთო თავს წაადგა პურის სამზადის ტაბაკ სუფრასთან თაღმოჯრილ თანასოფლელებს და ომახიანად შესძახა:

— გამარჯობათ, ბიჭებო!

დამხდურნი წამოიშალნენ, სიხარულით შეეგებნენ და კოცონთან მიიპატიჟეს. ყველას აინტერესებდა გაეგო, ჩანთო პაპამ იშოვა თუ არა, რაც დაიბარეს და რისთვისაც გაგზავნა თბილისს. მორიგე ჩამოჯდომისაც არ აცალეს, შეკითხვები მიაყარეს. ჩანთომაც მოუხსნა თავი საამბობს. თბილისში ჩასვლა, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მათი რაიონის დეპუტატთან მისვლა და მრავალი სხვა იყო მოხუცის მიერ დახატულ სურათში... ბოლოს, როცა დაამთავრა თხრობა, დინჯად უთხრა გახარებულ კოლმეურნეებს — აამშენეთ და საქმეს მიხედეთ, ვინძლო ადრე მორჩეთ დღევანდელ სამუშაოს. დილამებამებით მარხილები უნდა ჩავაგზავნოთ ხევში მანქანის ამოსატანად. ოსტატებიც იქ გველოდებიან. ეხლა ჩვენზეა დამოკიდებული, თუ ვიკარგებთ, რამდენიმე დღეში გავაჩირაღდნებთ სამუშაო უბანს.

— პაპუნა, აქაურობისას რას იტყვი, როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა ჩანთო პაპამ გვერდით მდგომ ახალგაზრდა მეტყევეს და თვითონაც ძალუმად გააბოლა ჩიბუხი.

— დღიური დავალება გადაჭარბებით სრულდება. კარგი მუშაობისათვის აი, ზოგიერთები კედლის გაზეთშიც ჩაიხატნენ, — საქმიანად მიუგო პაპუნამ და კარავის გვერდით, ხეზე მიმაგრებულ, აჭრელებულ ნარიხიან გაზეთზე მიუთითა. მოხუცმა გადაავლო თვალი სურათებს და მოამუხლებლის კილოთი განაგრძო საუბარი: — ელსადგურის მშენებლები ჩვენზე ამყარებენ იმედს. რკინა-ბეტონის წყალსაცავს დიდძალი ხე-ტყე სჭირია. რაც მთავარია, გაზაფხულამდე უნდა მოვასწროთ ყველაფერი, თორემ თუ თოვლის დნობა მოგვასწრო, მთელ ნამუშევარს წალეკავს და მარტო ჩვენ კი არა, მთელ ამ მთიანეთს თავიდან დასჭირდება ყველაფრის დაწყება. ასე მითხრა ინჟინერმა. მე სიტყვა მივეცი, რომ ხე-ტყეს არ მოვაკლებთ მშენებლობას.

— გუშინ აქ პარტიული კრება გვქონდა, მუშაობის მიმდინარეობაზე ვმსჯელობდით, ბიჭებმა სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვიეს ერთმანეთი, კომკავშირლებმა ახალი წინადადება შემოიტანეს.

— რა წინადადება?

— თუ ჩანთო პაპამ მოახერხა ტევრის განათება, სამცვლიანი მუშაობა შემოვიღოთო.

— ღამით მუშაობა?

— პირველნი ჩვენ გამოვალთო.

— კარგი უფიქრიათ. — ჩაილაპარაკა ჩანთომ, შემდეგ ტყეს გახედა, მიწურა მარჯვენა თვალი და თითქოს თავისთავს ეკითხებოდა, იგზნებულად ჩაილაპარაკა: — ამ სუსხში შესაძლებელ კი ბიჭები? — მაგრამ დაეძებდა დიდხანს არ გაჰრძელებულა, თვითონვე მიაგნო პასუხს და კმაყოფილებით განაგრძო: — სამცვლიანი მუშაობა სამჯერ შეამცირებს ტყეში ყოფნის ვადას, მშენებლობას უმოკლეს ხანში უზრუნველვყოფთ ხე-ტყით. — ერთხელ კიდევ ჩაფიქრდა, ხელისგულზე დაიბერტყა ჩიბუხი, თვალი თვალში გაუყარა პაპუნას და ისევ განაგრძო სიტყვა: — მართლაც და, რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ქარხნის მუშებს? იქ თუ მოსახერხებელია სამი ცვლა, ჩვენთან რატომ, აქ არ მოხერხდება? ამ ღერანს კი, ისე განსაკუთრებულად, რომ სამინებელ ბინის ძებნაში მგონი ჩიტებმაც გადაიხაზეს ადგილი.

— ჩანთო პაპა, მაშ გაგვიმარჯვებია და ეს არის! განათებული ტევრი! სამცვლიანი მუშაობა! მთელი რესპუბლიკა გაიგებს ამ წამოწყებას. — სიხარულით წამოიძახა პაპუნამ.

ჩანთომ თვალები შეანათა პაპუნას და ალერსიანი ხმით უთხრა: — მიყვარხარ, ბიჭო... აბა თუ იცი, რატომ მიყვარხარ?

— განა რით დავიმსახურე, ჩანთო პაპა?

— იმით, რომ ვერც ახლის მიგაქვს გულთან ჩვენი პატარა კოლმეურნეობის კარგი და აგი, რომ გვმის გლეხკაცის შრომის ფასი და მათთვის სიკეთე გინდა.

— ეს ყოფილი ჩვენგანის მოვალეობაა.

— ზოგნი რომ ვერც არ ფიქრობენ? აი, ზურაბაანთ ვანომ საქმიში დაამთავრა, თიოგნა-ხევეწნით გადავყევით, მაგრამ შენც არ მომიკვდე ცალი თვალითაც არ გადმოხედა. ვეთომ რა იქნებოდა აქ წამოსულიყო სამუშაოდ... ქვა ააგდო და თავი შეუშვირია. თბილისის ქუჩების ტკეპნა ამჯობინა. — კარგია? არა, არავინ მოიწონებს ამით საქციელს.

ნაჯახების მწყობრი ხმა მუშაობის ემხში შეუხლიყო და ხან აქ, ხან იქ, ტოტების მრიალითა და ტკაცუნით, ზათქით ეცარუხუთდნენ მიწას ტანმძიმე ხეები. ჩანთო და პაპუნაც იქით გაემართნენ.

* * *

ხევში, სამანქანო გზაზე მარხილების მოლოდინში გულმოდაკრეფილი რიდი იმხოდნენ თბილისიდან მოელიდებული მემაკერები. მათ თოვლზე დაეგოთ ფიცრები და ზედ დაეწყოთ ავტომანქანიდან გადმოღებული ტვირთი.

— პირველ მარხილზე ძრავი მოვათავსოთ, მეორეზე ელექტროგენერატორი და დამხმარე მოწყობილობა. — მზრუნველად ეუბნებოდა მონტიორებს ბრიგადის ხელმძღვანელი მაყვალა ყუფარაძე, რომელიც სხვებთან ერთად ნიჩბით აწურებდა თოვლს გზისპირა მისადგომთან, ზოგი შექუჩებულ თოვლს ტკეპნიდა. მალე ტრამპლინისმაგვარი შემაღლება გაკეთდა. მაყვალამ შეავლო თვალი ნამუშევარს და თქვა: — ჩემი აზრით საკმარისია.

— მეც ვერც ვფიქრობ. აქედან მიადგება მარხილი, ამ დატკეპნილ თოვლზე ოლიდ აიოვცურებთ ტვირთს, შემდეგ მოჟლე ფიცრებს გავუდებთ და მარხილზე გადავუშვებთ. — საქმიანმელდნენ ადამიანების დამაჯერებლობით მიუგო ელექტრომექანიკოსმა. [illegible] ავტომანქანის მძღოლმაც ჩაერია: — აფსუს, კოლმეურნეობას ტყეში მისული გზა არა ჰქონია, თორემ ამდენი ადგილზე ვიქნებოდით მისული და ტრასის განათებასაც მოვასწრებდით.

— ფრინიანი კაცი ყოფილა ის მოხუცი, [illegible] რამ აახირა? რაღა ამ შუა ზამთარში მოუნდა ტევრის განათება?—შენიშნა მანქანის კოლოზე წამოსკუპებულმა ყმაწვილმა, მძღოლის თანაშემწემ, რომელსაც ბანი ცხვირი სიცივისგან კიდევ უფრო გაწითლებოდა. მუშაობით გახურებულმა მეორე მონტიორმა, რომელიც ჩანთო პაპასთან სხვა დროსაც იყო ამხოვრილი, საიმ სიტყვა შეაგება ყმაწვილს: — იცი რა ახირა? არაა ეგ მასე! იმ მოხუცებულ ხელში ბიძია, ცხრას ჯობია ჩვენისთანა. ახლა კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, მანამ წინათ მეზღვაური ყოფილა. ასე ნუ უყურებ, მთელი ქვეყანა მოუვლია აქეთ-იქით და ბოლოს, რო მოხუცდა ისევ თავის სოფელს დაუბრუნდა. ჯერ იყო და ახალი აამენა, მერე სკოლა, ხილის რადიოფოლა, რადიოს კლუბი და სამკითხველო. ახლა ა, ყველა აგერ ვართ და მთავარი ელსადგური უნდა მოვუწყოთ... აია ახირება? ყველა თავმჯდომარე რომ ამისთანა ახირებული იყოს, ჩვენი სოფლები — ამდენხანს ელექტროს ბაღზე უკეთესად იქნებოდა მოწყობილი, ახლა პატრონებსაც არ იცითხავ? ორჯერ დააყენა თურმე საკითხი, გამანათებულიყოლეთ, მარა, ორივეჯერ მთელმა სოფელმა უარი უთხრა. აბა, ჩემ სოფელში ბიძია, პანტასავით სწულიან თავმჯდომარეებს, მარა კოლექტივის საწყობს არ იქნა და მაინც ვერ მოაშორეს ვირთხები. ასე დგას საკითხი, ამ მოხუცებულის ხელში, ეს კლდეზე წამოსკუპებული სოფელი სულ წინ და წინ მიდის.

მაყვალა ცნობისმოყვარეობით უსმენდა მონტიორს, სანამ მისი ყურადღება არ მიიქცია გზის მოსახვევიდან შემოჭრილმა ჩირაღდნების შუქმა და ხმამაღალმა ლაპარაკმა.

— ალბათ ჩვენთან მოდიან. — დაასკვნა ქალმა და ავტომანქანის მძღოლს უთხრა ჩაერთო მანქანის ფარები. სინათლის შუქი შორს გაიჭრა და მზრუნველ მასპინძლივით მიეგება მათკენ მომავალ კოლმეურნეებს. რამდენიმე წუთის შემდეგ, ჩირაღდნების შუქის ნახევარჩრდილებში დამხვდურნი და მოსულნი მხიარულად ესალმებოდნენ ერთურთს. როცა დაცხრა პირველი შეხვედრის ხმაური, პაპუნამ იკითხა:

— ამხანაგებო, რომელია თქვენში უფროსი?

— მე ვარ, — უბრალოდ მიუგო ახალგაზრდა ქალმა.

ქალის ხმა პაპუნას ზურგს უკან გაისმა. ვაჟი შებრუნდა, ავტომანქანის ჩრდილში მდგომ ქალისაკენ გადადგა ნაბიჯი. ამ დროს ვიღაცამ მაღლა ასწია ჩირაღდანი და სამუშაოთა ხელმძღვანელებმა დაინახეს ერთმანეთი.

ორივენი შეკრთნენ. პაპუნას გაუწყდა ნაბიჯი, ადგილიდან ვერ იძვროდა, სიტყვას ვერ პოულობდა. ჩირაღდნის სინათლე კი, ხან ერთის, ხან მეორის სახეს ეფინებოდა და მათ დუმილს უხერხულობის იერს აძლევდა.

— გამარჯვება პაპუნა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ძველ ნაცნობს შევხვდებოდი ამ კლდე-ღრეში.

— არც მე მოველოდი... — წაილუღლუღა პაპუნამ და ხელი ჩამოართვა ქალს.

ერთმანეთი გაიკითხ-გამოიკითხეს. ბევრი რამ გაიხსენეს, მაგრამ უფრო მწვავედ უკანასკნელი შეხვედრა შემორჩენოდა გონებას.

— გახსოვს ის ღამე? — ჰკითხა ქალმა.

— მახსოვს, მაყვალა... რა თქმა უნდა, მახსოვს.

— რა უმართებულოდ მაჩვენე ზურგი!.. პაპუნამ თავი დახარა.

* * *

ყველანი მივიდნენ ჩამოტანილ მანქანებს და გამალებით ტვირთავდნენ მარხილებზე. როცა ყველაფერი სამზადოდ მოაწყვეს, მძიმედ შეუდგნენ მთის აღმართს. აჩირაღდნებული კვალის ალი სერავდა ხეობას. წელამდე ავლევარებდა თოვლს დაჯღვარულ საურმე გზაზე, რომლის ყოველი მოსახვევი ხევში გადაცვენით ემუქრებოდა მარხილებს.

ყველაზე წინ პაპუნა მიაბიჯებდა. მაყვალა, თითქოს ამ გზების ჩამკეტი ყოფილიყოს, უკანასკნელი მიდიოდა. ხან დაუცურდებოდა ფეხი, ხან გზისპირა ჩირგვებს იმედიანობდა მოსალოდნელ ყინულზე გადასასვლელად. მარხილების დატვირთვის ორომტრიალში მას სადღაც დაეკარგა ცალი ხელთათმანი და ახლა, დარჩენილ ცალ ხელთათმანს იბაცვლიდა ხელიდან ხელზე. თანაც წამდაუწუმ ოორთქლავდა გათოშილ თითებს, რომ არ მოჰყინოდა. მაგრამ შიში არ გაჰკარებია მის გულს. პირიქით, სიამოვნებდა კიდეც ეს ძნელი გზა. სიამაყესაც გრძნობდა იმის გამო, რომ შემთხვევამ პირისპირ შეახვედრა შეულამაზებელ, ნამდვილ ცხოვრებას.

პაპუნა წინ მიუძღოდა მარხილებს და ჩირაღდნების შუქი სისხლისფრად ღებავდა მის სილუეტს.

* * *

მესამე დღის დაბინდებისას ელექტროშუქი მზად იყო ტევრის გასანათებლად.

რიდას ველოდებით, ავამუშავოთ: — თქვა ჩანთო პაპამ და გაღიმებული თვალები მიაპყრო მაყვალას. ქალმა მისცა ნიშანი და გაისმა ძრავის ხუხუნი. ორიოდე წუთიც და ტევრში იფეთქა შუქმა. პაპუნამ სამუშაოდ გაიყვანა მორიგი ცვლა. ელექტროხერხი მოუყვნენ ვეება ხეს. კბილანების წივილითა და ზუილით გაიმსჭვალა იქაურობა. ნაჯახის ქარვისფერი ნიში გაჩნდა ხის ბარძიმ.

მაყვალა ჩქარობდა ტევრის სიღრმეში შესვლას, რომ უეცრად ეძილა ღამის ცვლის მუშაობა. ის იყო ამოვიდა კიდევ უკანასკნელ შეხვედრამდე, რომ გაისმა ძახილი: — ვაი, ხეს გაუფრთხილდით, ვაი!

ტყის სამუშაოებზე ცნობილია ეს ძახილი, მის გაგონებაზე ყველანი შედგებიან ხოლმე და ნაბიჯს არ გადადგამენ სანამ არ გაარკვევენ ხის წაქცევის მიმართულებას.

ტოტების ტლაშუნი გაისმა. მკლავებგადაშლილი დევი გადაიზნიქა წასაქცევად. მაგრამ სწორედ ამ დროს სახიფათო ადგილზე უდარდელად შემოვიდა მაყვალა.

წვეროამზე გამარჯვებული ქალი სიხარულით შესცქეროდა ტევრში აკამკამებულ ნათურებს, სიამოვნებას აჰგვრიდა პროჟექტორების აბრიალებული თვალები, არ იცოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა.

პაპუნამ შეამჩნია ხიფათი და გასძახა:— მაყვალა, გვერდზე მიდექი, ხეს ერიდე!

ქალი შეკრთა, დაიბნა და უფრო მიუახლოვდა სახიფათო ადგილს.

წამი წყვეტდა მაყვალას ბედს. პაპუნა ერთი ნახტომით გაჩნდა ქალთან, ზვავისავით დაეცა და სამშვიდობოს გაიყვანა. ეს წამში მოხდა, მაყვალამ შეკივლებაც ვერ მოასწრო. მათ ზურგსუკან ვეება წიფელი ზათქით დაენარცხა მიწას.

ქალმა დახუჭა თვალები. მოხდა რა თავგანწირვის ფასად აჩუქეს სიცოცხლე. სიყვარულით აღსავსე თვალებით შეხედა გადამრჩენელ პაპუნას.

ჩანთო პაპა ვუშხვივით მიიჭრა მათთან.

— ხომ არ დაშავდით?

—არა, ჩანთო პაპავ!

—მაშ რა მოხდა, შენ რა ენა ჩაგვარდნია ბიჭო?

მოხუცს ისევ ქალი შეესიტყვა: — გადამარჩინა, სიკვდილს გამომტაცა, სიცოცხლე მაჩუქა.

პაპუნა ერთხანს კიდევ სდუმდა, შემდეგ ჩანთო პაპას თვალი თვალში გაუყარა და უთხრა: — რვა წლის წინათ გაზაფხულმა მეგობრობა მტრობად გადაგვიქცია, ამ ზამთრის სუსხმა კი, ის ადრინდელი გაზაფხული დაგვიბრუნა.

ახოვანი მოხუცი წელში გასწორდა, გაუხსნა შუბლის ნაოჭი და ლაღი ღიმილი აღუბეჭდა ბაგეებზე.

ახალგაზრდები შესცქეროდნენ მას და ორივეს სჯეროდა, ჩანთო პაპა ლაღი ღიმილით თავის პირველ გაზაფხულს იგონებდა.

როცა ქვემეხები ქუხდნენ...

დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. მოწინავე ხაზზე, თუ ღრმა ზურგში ქართული ხელოვნების მოღვაწეები — მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები თავდაუდებელ საქმიანობას ეწეოდნენ.

მარად დაუვიწყარი იქნება ის დიდი წვლილი, რომელიც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა საბჭოთა ჯარების საბრძოლო უნარიანობის განმტკიცებისა და მშრომელთა მობილიზაციის საქმეში შეიტანეს.

ქართული კინემატოგრაფიის მოღვაწეთა ნაწარმოებებში, მათ შორის რეჟისორ ირ. კანდელაკის, ოპერატორების ო. დვალიშვილის, ვლ. კილასონიძის, ლ. არზუმანოვის და სხვათა კინონარკვევებში, ამაღლებული გამოხმაურება ჰპოვა ქართველი ჯარისკაცების საგმირო ამბებმა.

ბრძოლის ქარცეცხლში, ჭურვებისა და ტყვიების ზუზუნში შექმნა პოეტმა ირ. აბაშიძემ საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე", ა. მირცხულავამ — „სიმღერა გამარჯვებისა", „მეომარი", გ. ლეონიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, ს. თავაძემ, ქ. ლორთქიფანიძემ, ქ. კალაძემ, ი. ნონეშვილმა და სხვა პოეტებმა და მწერლებმა — შემართების სულისკვეთებით გამსჭვალული ქმნილებები. ბრძოლის ველზე შექმნილ ნაწარმოებებს იქვე, სანგრებში უკითხავდნენ ჩვენს მებრძოლებს.

სახელოვანი 392-ე ქართული დივიზიის მეომრებისათვის დაუვიწყარი იქნება 1942 წლის 10 მაისი. ამ დღეს გამოჩენილმა პოეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ილო მოსაშვილმა პირადად ჩააბარა ამ დივიზიას და დივიზიაში შემავალ ქართულ პოლკებს (მათ შორის ჩემს 955-ე საარტილერიო პოლკსაც) მშვიდობული დიდების სიმბოლო — ალისფერი დროშა.

პოეტი იოსებ ნონეშვილი სამხედრო მოვალეობას ჩვენი ქართული დივიზიის რიგებში იხდიდა. აქვე, ქმნიდა იგი თავის ნაწარმოებებს, აღწერდა ჩვენი მეომრების თავდადებისა და გმირული შემართების ამბებს.

ყველაფერი ეს მე კარგად მახსოვს. იმ ცეცხლოვან დღეთა ამბებმა სამუდამოდ დაიდო ბინა ჩემს მეხსიერებაში. კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

სწორედ იმ ქარცეცხლიან დღეებში შექმნა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ „ძლევის ქედი", რომელიც უკვდავყო კავკასიის დაცვის ისტორიული ეპოპეა.

1942 წლის ივლისში ამიერკავკასია მტრის ძალების უშუალო დარტყმის საფრთხეში მოექცა. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და უმაღლესი სარდლობის მითითებით, მათი ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ მიღებულ იქნა ქმედითი ღონისძიებები, შეიქმნა საომარ მოქმედებათა სამი რაიონი:

ჩრდილოეთ რაიონი — კასპიის ზღვიდან დასავლეთ კავკასიონის მაღალმთიან უღელტეხილებამდე; ცენტრალური — ელბრუსიდან ბელორეჩენსკის უღელტეხილამდე (ყველაზე მაღალმთიანი მთაგრეხილი); დასავლეთის რაიონი — ტუაპსე მთის კალთები, მაიკოპიდან ნოვოროსიისკამდე.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათმა თავდადებულმა შემოქმედებითმა შრომამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

ფრონტზე გმირულად მოქმედი საბჭოთა ჯარების რიგებში მამაცურად იბრძოდნენ ქართული დივიზიები, რომელთა შორის აღსანიშნავია სახელოვანი 392 ქართული დივიზია, მის საომარ მოქმედებას წარმატებით უჭერდა მხარს 955-ე ქართული საარტილერიო პოლკი. ბაქსანის, ჩეგემის, ელბრუსის რაიონებში, ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან მათ მოსპეს ჰიტლერულ დამპყრობთა აურაცხელი საომარი ტექნიკა, ცოცხალი ძალა, მათ შორის გერმანელ დამპყრობთა 23-ე სატანკო დივიზიის შტაბი, ამ ფაშისტური დივიზიის სარდალი გენერალი ფონ-მაკა, მისი შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ფონ-ბასე, რომლებმაც სისხლიანი გზა გაიარეს ყირიმიდან კავკასიონამდე და მამაცი ქართველი არტილერისტების გამანადგურებელი ცეცხლის მეოხებით ჰპოვეს თავისი სამარე კავკასიის მთების ორღობეებში.

სახელოვანი საბჭოთა არტილერისტების პლეადას გვეუფლია საბჭოთა კავშირის გმირი ალ. პირმისაშვილი, მ. გეთია, ვლ. პეტრიაშვილი, ს. თოიძე, ი. გოგატიძე, ი. ბელიძე, ს. უჩაკაშვილი, აკ. ბელიძე, ო. როინიშვილი, ს. ტონია, ი. კვაცლიძე, ნ. თევზაძე, ბ. გურგენიძე, ა. ჩიქოვანი ს. ბერეჟიანი, ნ. გამცემლიძე, ა. არჩაია, ი. ჯამი, ბ. ზაზუაძე, ია. ქათამაძე, შ. ღვანიძე, მ. ყამარაული, ვ. ლურსმანაშვილი, ა. მაღლაფერიძე, ა. ჭაბუკიანი, ო. რუხვაძე, ზ. ჩანაშვილი, ნ. მეცლიაშვილი, პ. გვასალია, შ. პირველიშვილი, პ. ხუცია, მ. მეგრელიძე, ა. ციაკარიძე, ი. კავილია, დ. დოლიძე, შ. კვარაცხელია, დ. ლორთქიფანიძე, დ. კილუა, ღ. ცხადაძე, ს. გიგაური და მრავალი სხვა.

1942 წლის ნოემბრის პირველ დეკადაში გიზელის პლაცდარმზე, ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მტრის მთავარი ძალები, ხოლო 1943 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გაანადგურეს ნოვოროსიისკის პლაცდარმზე მოქმედი მტრის დაჯგუფება. 9 ოქტომბერს კი ტამანის ნახევარკუნძულიდანაც გადასწვდა საბჭოთა მეომრების მეჭიქური ვაშა, რამაც ამცნო მსოფლიოს, რომ დამთავრდა კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა. იგი თოთხმეტ თვეს გრძელდებოდა. (1942 წლის ივლისიდან 1943 წლის 9 ოქტომბრამდე).

ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით არის ჩაწერილი 392 ქართული დივიზიის პოლკების, მათ შორის 955-ე ქართული საარტილერიო პოლკის მეომრების ივანე ჯიშკარიანის, ვარლამ ბირკაიას, გრიგოლ ძიძიშვილის, გრიგოლ ცქიტიშვილის, გიორგი ბერიძის, მიხეილ პატარიძის, ლევან გელაშვილის, გოგია აბშილავას, აკაკი ხურცილავას, პავლე ჯაჯიაშვილის, შალვა ჯინჭარაძის, შალვა რადიშვილის და სხვათა სახელები.

როდესაც ვიხსენებ ფაშიზმის ურჩხულზე გამარჯვების ისტორიულ დღეს, — მადლიერების გრძნობით ვიგონებ ჩვენი ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკებს, ჟურნალისტებს, სიყვარულით ვიგონებ თანამებრძოლ ფრონტელ ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად ბედმა წილად მარგუნა გამევლო ომის მძიმე გზები კავკასიონიდან ბერლინამდე და ხელახლა განვეცადე გამარჯვების სიხარული, კვლავ ვხრი თავს იმ თანამებრძოლთა ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინც გმირული სიკვდილით დაეცა სოციალისტური სამშობლოსათვის, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

კლიმენტი გვალია

საბრძოლო დროშის გადაცემა, ფრონტზე გამგზავრების წინა დღეს — 1942 წ. 10 მაისს.

პოეტმა ილო მოსაშვილმა 955-ე ქართული საარტილერიო პოლკის მეთაურს — მ. გეთიას გადასცა საბრძოლო დროშა და მეომართა მწყობრს სიტყვით მიმართა.

გამორჩეული ლირიკოსი

შალვა აფხაიძე

◆

წარმავალი და უმანკო ბავშვობის, ხალისიანი სიჭაბუკის, ცისა და მიწის მადლის, მომხიბვლელ ფერთა და ხმათა, ნაზ და იდუმალ ადამიანურ გრძნობათა მომღერალს პოეტ კოლაუ ნადირაძეს 70 წელი შეუსრულდა. კოლაუ ნადირაძე ქართული ლირიკული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ყოველი ლექსი, ისეთებიც, რომლებიც გადმოსცემს ავტორის ფილოსოფიურ დაფიქრებას სამყაროზე, ყოველთვის ლირიკული მღელვარებით გამოირჩევა. კოლაუ ნადირაძის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა გარესამყაროს და ადამიანის სულიერი ცხოვრების ლირიკული აღქმა. ყოველ მოვლენას იგი გულში ატარებს და მისი ცეცხლით ათბობს. მისი ლექსების კითხვისას მე ყოველთვის ვგრძნობ ამ სითბოს, ახლო კავშირს ადამიანის გულთან, ბუნებასთან, მესმის მისი სუნთქვა, და რაც მთავარია, ეს პოეზია ამაღლებს მკითხველს მორალურად, აღძრავს მასში სიყვარულს ადამიანისადმი და სამყაროსადმი, რომელსაც საოცარი ჰარმონიულობა უდევს საფუძვლად.

კოლაუ ნადირაძე სამწერლო ასპარეზზე 1915 წელს გამოვიდა. მისი პოეტური ხმა თავიდანვე მეტად ნატიფი, ნაზი და გულწრფელი იყო. ასეთი დარჩა იგი დღემდე. ამიტომაც ეს ხმა ადვილად პოულობს გზას მკითხველისაკენ და ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მას. აღსანიშნავია, რომ კოლაუ ნადირაძის შემოქმედება, როცა ის დეკადენტური პოეზიით იყო გატაცებული და ცხოვრებას „ხიბლებში ხელებჩაწყობილი" შესცქეროდა, თავისებური ინტიმურობით გამოირჩეოდა და ამავე დროს უფრო თავისუფალი იყო იმ ბუნდოვანებისა და მისტიკური ბურუსისაგან, რომელსაც ზოგიერთი ცისფერყანწელის პოეზია მოეცვა.

კოლაუ ნადირაძე არის პოეტთა ცნობილი ჯგუფის (პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალ. გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის) ერთ-ერთი აქტიური თანამებრძოლი. მისმა მუზამ ქუთაისში აიდგა ფეხი. კოლაუ ნადირაძე პირველი იყო ცისფერყანწელთა შორის, რომლის ლექსების პირველი წიგნი „ბალდახინის" სახელწოდებით 1920 წელს ქუთაისში სანდრო ცირეკიძემ გამოსცა. მახსოვს რა სიხარულით შეხვდნენ მეგობრები ხსენებულ წიგნს. ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ ამ ორიდან წყვილი კოლაუ ნადირაძის ყოველ ახალ ლექსს. მათ ხიბლავდათ „ღვთისმშობლის მოვარდნილი თვალები უმანკო სევდით ამოვსებული". ისინი ამ თვალებში ხედავდნენ მშობლიური ქვეყნის წარსულის ნაღველსა და ცრემლებს.

კოლაუ ნადირაძე დაიბადა ქუთაისში. აქ გაატარა თავისი უზრუნველი ბავშვობა, ოცნებებით სავსე სიჭაბუკე. ამ ქალაქს დაუკავშირა თავისი პოეტური ბედი. ამიტომ არის, რომ პოეტის მოგონების წყარო ხშირად ქუთაისი და საერთოდ იმერეთი, თავისი ლბილი პეიზაჟებით, ქუთაისის მოკრიალებული ცა, მისი მოვარაყებული დაისები და განთიადები, მისი ხავერდოვანი და ვარსკვლავებით გადაფენილი ღამეები, ბროლის დღეები.

თუ პოეზიის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა წარსულის გახსენება, მოგონება განვლილთა დღეთა, რაც მას (პოეზიას) ნათელი სევდის ელფერს ანიჭებს, ეს ითქმის კოლაუ ნადირაძის პოეზიაზე. მის ლექსებში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ბავშვობისა და სიყრმის მოგონებას. და ეს მოგონება ყოველთვის სევდის მომგვრელია. ეს ბუნებრივი და ადამიანურია. პოეტის წარმოდგენით ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე ოქროს დღეები, როცა მას ესმის ბუნების ენა, როცა სიყვარული აწვალებს. ეს არის მისი ნეტარი, ბედნიერების დღეები. ჟამთა ახალგაზრდობა და მის სულს შეშფოთება ეუფლება. ეს შეშფოთება ისმის პოეტის ლექსში „სადაა ხარი ჩემი ოქროს დღეები". წარვიდა ეს ოქროს დღეები და ბოლოს რაღაც გამხმარული ხმით ეკითხება თავის თავს:

რამ მოიდუნა ამდენად სმენა,
რა დაეუფლა სულსა და თვალებს,
რომ აღარ მესმის ბუნების ენა,
რომ სიყვარული აღარ მაწვალებს.

ავტორი სიყვარულის ამ წუთებში ხედავს ბედნიერებას, დაუშრეტელ ნეტარებას. მას აგონდება ნეტარი ღიმილი, რომელიც იყო ნათელი მისის ღამე; ახლა კი მის გულში დაღლა და ზამთარი მეფობს. ამიტომ ღელავს ასე ნაღვლიანად ავტორის შეძახილი: „ო, ნეტავ იმ დროს, ო, ნეტავ იმ დროს" („ბახალეა, ძვირფასო"). სიყვარულით იგონებს პოეტი თავის ძველ პატარა სახლს, რომელშიც მან დატოვა ცისფეროვანება სიყმაწვილე და ბავშვობა. უნდა აღინიშნოს, რომ კოლაუ ნადირაძის ლექსების ლექსიკა მეტად მდიდარია სიტყვებით, რომლებიც ადამიანის უფაქიზეს სულიერ განწყობილებას თუ გრძნობებს გამოხატავს: ნაზი, სათუთი, უმწიკვლო, სპეტაკი, სუფთა, თეთრი და მრავალი სხვა. სიტყვები აძლევს მის ლექსებს თავისებურ ელფერს და მართლაც საოცარ განწყობილებას უქმნის მკითხველს. მისთვის ძვირფასია ნაზი თვალები, ნეტარებით სავსე თასი, ბავშვური ღიმილი... ძველ სკივრიდან ამოაწყობს ხოლმე წარსულის ნიშნებს „ბავშვობის პერანგს, პირველ პერანგს და სათამაშოს", რომლებთანაც დაკავშირებულია წმინდა და წრფელი გრძნობა. პოეტისათვის ბავშვური ღიმილი ბედნიერებაა, ბავშვობის დამთავრება კი — გლოვა. ამიტომ ფიქრობს ხოლმე პოეტი დაიბრუნოს „საშობაო ბალი ბავშვურ სიზმრებში გადაკარგული". მაგრამ მან იცის, რომ ეს შეუძლებელია, ილუზიაა. აქედან წარმოდგება ის სულიერი დრამატიზმი, რომელიც ხშირად იჩენს თავს კოლაუ ნადირაძის პოეზიაში.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს პოეზია არ არის მოქცეული ვიწრო, პირად განცდათა სფეროში. არა, იგი დიდი საზოგადოებრივი მღელვარებით გამოირჩევა. კოლაუ ნადირაძე ეკუთვნის იმ თაობას, რომელმაც ბევრი რამ განიცადა ცხოვრების გზაზე. ამ თაობის სახელით ლაპარაკობს იგი თავის ლექსებში („1905 წელი"), იგონებს წამებისა და სიხარულის წლებს. ცხოვრება არ არის მისთვის იავარდით მოფენილი. მაგრამ როგორიც უნდა იყოს იგი (ცხოვრება), პოეტი ყოველთვის მის დამცველად და დამამკვიდრებლად გამოდის: „მე იგივე ისევ ცხოვრებას ვილოცავ, ცხოვრებას, ჯვარს რაც ტანჯვა მარგო" — ამბობს იგი ერთ-ერთ თავის ცნობილ ლექსში („ოქროსავანა"). პოეტი მეგობრობას გრძნობს, როცა გარეშე დიდებულ მადლს ხედავს და სიხარულით შესძახებს: „ო, გამარჯობა, მზეების ცრემლებო, საცოცხლეო, მზევ და ბედნიერებავ!" ეს მზე, ეს ცის მადლი ხშირად ანათებს კოლაუ ნადირაძის ლექსებს.

მინდა შევჩერდე ერთ შესანიშნავ ლექსზე, რომლის წაკითხვისას ყოველთვის რაღაც სულიერი სიმშვიდე მეუფლება. მხედველობაში მაქვს ლექსი „ზღვასთან".

პატარა ბავშვი თამაშობს ზღვასთან,
ზვირთების სუნთქვა შორიდან ისმის,
ალვის ხე ჩრდილით ისვენებს გზასთან
და მოშრიალე სიგრილეს ისვრის.
ვზივარ ზღვის პირას. დრო უხმოდ
მიდის,
მზე დარჩა ქვებზე და ბავშვის
თმებში...
სილამაზეები, სიმშვიდე დიდი,
როგორც ნათელი, შემოდის ჩემში.

ლექსი გადმოგვცემს ამ ჰარმონიულ კავშირს, რომელიც ადამიანსა და ბუნებას შორის დამყარებულა, ბუნების იმ სიამეს, რომელიც ადამიანის გულში სიმშვიდეს და ღვთაებრივ სულიერ წონასწორობას ამკვიდრებს. ასეთივე განწყობილებას უქმნის მკითხველს პოეტის მეორე ლექსი „განთიადი ზღვასთან", რომელშიც წარმოდგენილია როგორც სამყაროს მგზავრი დაკარგული სამყაროს უდაბურ გზაზე. პოეტი მგზავრს მიმართავს: „წამოწექი ზღვასთან, დაისვენე, იგრძენ და მიხვდი, რომ ერთი წუთით საწუთრო შენ მაინც ნახე". პოეტისათვის კი სიხარული და სასიხარულო, დიდი სულიერი კმაყოფილების მიზეზია მზის ამოსვლა, დაისი, მთის ნისლი, ვარსკვლავები და ადამიანის მორალური სისავსე.

კოლაუ ნადირაძის ლექსებში ხშირად გაიელვებს ხოლმე მარტოობის მოტივი. მარტოობისადმი ლტოლვა ცხოვრებისაგან განდგომის სურვილით, სულიერი დაცემულობით კი არ არის გამოწვეული; არამედ, პოეტის რწმენით, მარტოდ ყოფნისას მას უკეთ შეუძლია დაუფიქრდეს საწუთროს, ჩასწვდეს მოვლენათა არსს, ფიქრებს მეტი გასაქანი მისცეს და გაერკვეს სამყაროს იდუმალებაში. მარტოდ ყოფნისას მას უძლიერდება ლტოლვა მარადიულობისადმი. მისი რწმენით, ადამიანი მარტო ფიქრის უნარით როდია დაჯილდოებული. ამ უნარს ფლობენ ფრინველები, მცენარეები... როცა მარტო შედის დაბურულ ტყეში, პოეტი მარადიულობას ეზიარება, მის გულს „წარმავალი არ ეკარება" და ამაში ხედავს სიამესა და ნეტარებას. იგი ხედავს ათასწლოვან ხეებს და უნდა ჩასწვდეს, თუ რას ფიქრობენ ისინი, რას ჩურჩულებენ მათი ფართო ჩრდილები. უნდა ნათელი გახადოს, თუ „ვინ გაუმხილა მათ უწინდელი ჩემი ფიქრი და გულისნადები", ვინ ჩაახედა „მათ ჩემი სულის უძირო ტბაში?" ასეთივე განწყობილებით არის დაწერილი მეორე ლექსი „მწერალთა სასახლის ბაღში". პოეტი განმარტოებით ზის ბაღში და ოქროსფერი ფოთლების შრიალთან ერთად ესმის ლანდების ფეხისხმა. ლექსს გასდევს პუშკინის სევდა. იმეორებს იმათ სახელებს, ვინც აღარ არის. ფიქრობს: იქნებ ლანდების ეს ფეხისხმა იმათი ფეხისხმა არისო. ლექსი დათარიღებულია 1960 წლით, როცა პოეტს უკვე აღარ ეგულება ახლო მეგობრები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი... მარტოობის თემას უბრუნდება პოეტი ლექსში „აფხაზეთში": „მე ზღვის სიღრმეში ვიყავ გარიყული და მარტოობა მიმქროდა ფარად". ეს ფარი იცავდა მას ალბათ წარმავალზე ფიქრისაგან.

კ. ნადირაძის გაგებით ლექსი დიდი სულიერი მღელვარების შედეგია. იგი პირდაპირ ამბობს: „თუ არ ქცეულხარ ცრემლების სტუმრად, რომ ლოცვა გეთქვა, — არასდროს შენთვის ეს არ გახსნილა, არ მოუხმიხარ მუსიკად განგებას, ვერ დღეღვდები უკვდავ ძახილებად და სტყვის შენი კაშკაშა სიტყვა". შინაგანი მღელვარება, ტანჯვა, ცრემლების სტყვა, რომელიც გმირული თავდადების ნაშანი და მეუბის მომგვრელია, — ადამიანის სულიერი განწმენდის წყაროა, რა მიმეე არ უნდა იყოს ცხოვრება, რა სულიერი ნაპრალებიც არ უნდა ჩაუდეს პოეტში, რა უფსკრულებიც არ უნდა ღრღნიდეს მის გულს, მისთვის სიცოცხლე მაინც ლამაზი და მიმზიდველია, უცილებლად მორალური კატეგორიაა. პოეტი მაინც გრძნობს მეუფეველ კავშირს სიცოცხლის ძალასთან, ბუნებასთან. ამიტომ, როგორც წრფელი აღსარება, ისე გაისმის მისი ლექსის ეს ნათელი სტრიქონები:

მაგრამ მადლობით სავსე ვარ, რადგან
მიწაზე გავჩნდი, როგორც
სულდგმული,
რომ დღე ნათელი ვარიგვინად მადგას
და ზეცა მქონდა სულში ჩადგმული.

კოლაუ ნადირაძე, როგორც ვთქვით, გარკვეული მიზნით ხშირად უბრუნდება მარტოობის თემას, მაგრამ მისთვის სავსებით უცხოა გულგრილებული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. პირიქით, მისი სულისკვეთება ყოველთვის ნათელი, მზიური და ამაღლებულია. ამ ოპტიმისტურ განწყობილებას აზრდებს ორგანული კავშირი გარესამყაროსთან. მზე, ნათელი, მზიანი შრიალი თუ ვარსკვლავების ციმციმი ისე „შედის პოეტის სულში", როგორც თვითონ პოეტის სუნთქვა ისმის ტყის შრიალში, მდინარის დაუსაბამო ჩუხჩუხში თუ ცის ღიმილში.

მე მიყვარს კოლაუ ნადირაძის ლექსი, რომელიც ადამიანის ღირსებისათვის იბრძვის, გაჟღენთილია ფართო ჰუმანური სულისკვეთებით. სწორედ ადამიანის ამ სიყვარულმა უკარნახა პოეტს მიეძღვნა ლექსი ცნობილ ფილატოვისადმი და აეთქვა: „მეც შენი სულის ცეცხლი მედება, მეც მინდა მოვხსნა სინათლე მთვარეს". პოეტი აღტაცებულია მეცნიერით, რომელიც ბრმა ადამიანს „მზეს სთავაზობდა, ნაცვლად ღამისა". მთელი მისი პოეზიის საყრდენი სწორედ ეს ნათელი ჰუმანიზმია, ადამიანის უანგარო სიყვარულია. ეს ჰუმანიზმი მის შემოქმედებაში დაკავშირებულია დიდ პერსპექტივებთან, ადამიანის სულიერ გარდაქმნასა და განახლებასთან, დიდ გზასთან, რომელსაც პოეტი გარკვევით ხედავს.

შეიძლება ითქვას, რომ მეგობრობის მტკიცე გრძნობაა კოლაუ ნადირაძე მძაფრად განიცდის. მეგობრული სიყვარულის ამ სითბოს ასხივებს მისი ლექსი მიძღვნილი პ. იაშვილის, ვალ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, პ. ინგოროყვას, ვ. ლოსაბერიძის, დ. ბენაშვილის, ბ. კეშელავას და სხვებისადმი. ამ ლექსებში პოეტი მეგობრების პორტრეტებსაც სიყვარულით ხატავს და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებსაც ეხმაურება. ახალი პოეზიის ერთ-ერთ შედევრში („წიწამურიდან საგურამომდე"), რომელიც პოეტმა პავლე ინგოროყვას მიუძღვნა, გახსნილია ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ბედი, მოცემულია მისი გმირული წარსულის დრამატიზმით სავსე სურათები, დიდი მხატვრული ძალით დახატულია ტყვიით განგმირული ილიას შუბლი. როცა ამ ლექსს კითხულობ, ყოველთვის ცოცხლად წარმოგიდგება ხოლმე ეკლიანი გზა წიწამურსა და საგურამოს შორის, ტანში გზარავს იმ წუთის წარმოდგენისას, როცა გარეწარის ტყვიამ ერის სინდისს შუბლი გაუხვრიტა. ლექსისთვის რომ მეტი ემოციურობა მიეცა, პოეტმა შესაბამისი ფორმაც შეუხამა. პატარა და ეკლიან გზაზე დატრიალებული ტრაგედიის გამო მთელ ლექსში ერის ქვითინი ისმის. მარტოდ ხალხი კი არა ტირის, არამედ მთელი მიდამო:

შოთამებული სიმღერა მისი
აღარ მოისმის მიდამოს შენსას,
ალბათ, მისთვის ხარ გულჩათხრობილი
და აღარ ცხრება ტალღების კვნესა!
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები
ახლაც ასხია მიწას და ქვებსა.

მეორე ლექსში პოეტი უმღერის პავლე ინგოროყვას როგორც დიდ პატრიოტს, რომელიც არ ელევა იმისათვის ბრძოლას, რომ „გადმოიღოს საიდუმლოდ ნაკვალევები გარდასულ დროთა". ლექსში „ჩემი ვარსკვლავი", რომელიც პოეტმა ტიციან ტაბიძეს მიუძღვნა, სამყაროთა ხრიალ ჰარმონიაზეა ლაპარაკი. პოეტს ხიბლავს პირველი სიყვარულის ცისფეროვანი უმანკოება. მას სჯერა, რომ კეთილშობილური გრძნობა აღწევს ვარსკვლავამდე, რომ ვარსკვლავამდე აღწევს „ფრინველთა ლოცვა, ჟუჟუნთა სუნთქვა, ტყეთა შრიალი". ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ ლექსშიც იგი თავის პოეტურ რწმენას უსვამს ხაზს. პოეტი ერთი აზრით არის გატაცებული, რომ „სათნოებით კვლავ ევსებოდეთ საწუთროს, მეგობრული სიცოცხლის და სიყვარულის თაყვანისცემით". ადამიანის დანიშნულებაა სიყვარული სულდგმულისადმი. „სიყვარული — ტკივილს რომ აღწევს". დ. ბენაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი ამ კეთილშობილური აზრით არის გამთბარი. პოეტს სჯერა ადამიანისა, ვისაც გულში აქვს სითბო და სიხარული და სტანჯავს სხვისი ცრემლი და წუხილი. მას შეუძლია მთლად მისწვდეს „სიცოცხლის ღვთაებრივ ენას". ხოლო ბონდო კეშელავას გახარებული მიმართავს: „ჩემი მადლობით ამევსო გული, რომ ასეთ მეორე სულდგმულს მაჩუქე ამდენი ოქრო და სიხარული". ეს არის ნამდვილი, ადამიანური გულიდან მომდინარი პოეზია, პოეზია სიყვარულისა, მეგობრობისა, კეთილშობილებისა. ავტორი დიდ სულიერ კმაყოფილებას განიცდის თუ მას მიეცემა საშუალება მოწმინდოს თვალზე ცრემლი მეგობარ პოეტს პაოლო იაშვილს, რომელსაც ცხოვრებამ ფრთები დაუღეწა.

ასეთივე ემოციური ძალით, გადმოცემის სინაზით და სულიერი თრთოლვით გამოირჩევა კოლაუ ნადირაძის სატრფიალო ლირიკა. მოვიყვან ერთი მშვენიერი ლექსის („თოვს") ნაწყვეტს. იგი პოეტმა ადრე გარდაცვლილ მეუღლეს მიუძღვნა.

დაკარგულ ალერსს ვიგონებ შენსას,
სადაც, ძვირფასო, გძინავს და გათოვს.
ეს ხომ ჩემ პირველ სიყვარულს
ათოვს,
ეს ხომ შენი ხმის შრიალი არის!
შენი უკვდავი ღიმილით მკერთობს —
გამოშუქება მზიური მხარის.

ასეთი ღრმა, განცდილი, ნატიფი გრძნობით ავსებს პოეტი თავის ლექსს. მაგრამ, ვფიქრობ, კოლაუ ნადირაძის მდიდარ ლირიკულ პოეზიაში პოეტის ზოგად ჰუმანურ იდეალებზე უფრო ძლიერ ნაკადად არის შეჭრილი პატრიოტიზმის თემა. მისი „ჩემი სამშობლო" ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. მასში დახატულია აღორძინებული, განახლებული სამშობლოს ამაღლებული სურათები და გაცოცხლებულია მისი ტრაგიკული წარსულიც. და რა შესანიშნავი შეხამებით ფერებით არის დახატული ეს სურათები! ეს არის მთელი პოემა სამშობლოს სილამაზეზე, ხალხის გმირულ თავდადებაზე. კითხულობ ლექსს და ჩვენ ვხედავთ მერცხლის ფრთებით გაფერილ ჰაერს, ვხედავთ იმერეთის გაზაფხულს, იმერულ ეზოს, აივნის მეკლერიებს. გესმის მომხიბლავი ურმული, რომელშიც ხალხს სისხლი და ცრემლი ჩაუქცევია.

მისი „სამი ანდერძი" ქებათა-ქებაა დიდი პატრიოტების, სამშობლოსათვის თავდადებული გმირების — ცოტნე დადიანის, ქეთევან დედოფლისა და დიდი ილიასადმი მიძღვნილი. ამ ლექსში პოეტი მიმართავს ქეთევანს და ნაღვლიანად შეჰკივის: „რად არ ვიყავი მე შენთან მაშინ და შენთან ერთად არ დავიწვი". თავისი თავის მსხვერპლად მიტანის ეს მზადყოფნა განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს პოეტის პატრიოტულ ლირიკას, რომელსაც ეკუთვნის მისი ბალადები და მხატვრული ოსტატობით შექმნილი ლექსები: მშვენიერი ბალადა „სამასი სპარტანელი და სამასი არაგველი", „აბაშინის ომი", იგივე „წიწამურიდან საგურამომდე" და სხვ. ქართული პოეზია არსებითად პატრიოტულია. ამ მხრივ მას დიდი ტრადიციები აქვს. რომელ პოეტს არ უმღერია სამშობლოსთვის, არ უბრძოლია მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მხატვრული სიტყვით. პატრიოტულ თემაზე მრავალი შედევრია შექმნილი. უშუალობით, პოეტური უბრალოებით, ვფიქრობ, გამოირჩევა კოლაუ ნადირაძის ერთი პატარა ლექსი „მეტი არ მითქვამს მამულო შენთვის". ლექსში იგრძნობა ავტორის საოცარი ინტიმური დამოკიდებულება, სამშობლოს ისეთი სიყვარული, რომელიც არ გამოითქმება სიტყვით. სამშობლოს სიყვარული პოეტის გაგებით თანდაყოლილი და ბუნებრივი თვისებაა მოქალაქისა. თითქოს პოეტს ზედმეტადაც მიაჩნია ამ სიყვარულის სიტყვით გამოცხადება და ამბობს კიდევაც: „ნეტავ სიყვარულს ვინ უხსნის ხშირად საკუთარ დედას". სამშობლო კი მისთვის დედაზე დიდი და საყვარელია.

არაფერს ვამბობ კოლაუ ნადირაძის ეპიკურ ნაწარმოებებზე და მის მთარგმნელობით მუშაობაზე. კოლაუ ნადირაძე ახალი ქართული ლირიკის ერთ-ერთი მეხოტბეა, დაჯილდოებულია ნამდვილი პოეტური გემოვნებით და კულტურით. იგი პოეტური სიტყვის შესანიშნავი ოსტატია და ამ სიტყვისათვის ბრძოლაში იშვიათად წასულა რაიმე დათმობაზე. ორმოცდაათი წელია, რაც მადლცხებული პოეტი მოგონებით უმღერის თავის ქვეყანას, ხალხს. ჩვენი სურვილია არ დასტყობოდეს მის მხურვალე გულს დაღლა და „მარად ყოფილიყოს მოვარდნილი სიმღერის მეფე".

კოლაუ ნადირაძეს 70 წელი შეუსრულდა

გამოჩენილ ქართველ პოეტს კოლაუ (ნიკოლოზ) გალაკტიონის-ძე ნადირაძეს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მწერალს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

ძვირფასო ძმაო და მეგობარო კოლაუ! საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი მწერლები სულით და გულით გილოცავენ დაბადების სამოცდაათი წლისთავს.

თქვენ ლირიკულად განვლეთ პოეტის სახელოვანი გზა და თქვენი დაბადების [illegible] განილეული მგზნებარებითა და მშვენიერებით.

ეს სახელოვანი დღე თქვენი ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავს დაემთხვა. 1915 წელს გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები და მას შემდეგ ნაყოფიერად ემსახურებით ჩვენს მშობლიურ ლიტერატურას. თქვენ თვალსაჩინო წვლილი შეიტანეთ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში და სამართლიანად დაიმსახურეთ ქართული ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატის სახელი.

სწორედ ამიტომ არის, რომ თქვენი ლექსები გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს — მას იცნობენ რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, ბელორუსი, სომეხი, გერმანელი, პოლონელი, ფრანგი, ინგლისელი მკითხველები.

თქვენ თვითონაც ხომ ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწევით. თქვენი თარგმანებით გაიცნო ჩვენმა მკითხველმა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. ბლოკის, ვლ. მაიაკოვსკის, ნ. ტიხონოვის, ტ. შევჩენკოს, ლ. უკრაინკას მრავალი პოეტური ნაწარმოები. ეს თარგმანები შესრულებულია დიდი მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით, სიყვარულით და გემოვნებით.

თქვენი მეგობარი მწერლები, ქართველი მკითხველები თქვენგან ახალ შემოქმედებითს გამარჯვებას მოელიან.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

• • •

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია უერთდება ამ მისალმებას და ძვირფას იუბილარს უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით სიხარულს.

გაზაფხულია ჩემს სამშობლოში

გიორგი სამხარაძე

◆

მიყვარს ტრიალი მეწამულ დროშის,
არ მენანება სული მას მივცე.
გაზაფხულია ჩემს სამშობლოში
და ალმების ტყე მიარღვევს სივრცეს.

ჩემი სამშობლო ნახატი ფერებით
არის დამშრობი სევდის და ცრემლის,
მარად კამკამებს სიმართლის ბურჯი, —
ჩვენი პარტია, მოსკოვი, კრემლი.

ვიცით ძლევა და ვაჟკაცურ შებმა,
ჩვენ გვემონება მეხი და ქარი,
ჩემი სამშობლოს ციერმა ძმებმა
კოსმოსს პირველად შეუღეს კარი.

არ დავიღლები რაინდთა ქებით,
ყველას ვემთხვევი მგზნებარე გულზე,
მათი წყალობით საბჭოთა ღერბი
მთვარის კიდიდან სამყაროს უმზერს.

ჩემს ქვეყანაში ხალხთა საქმეზე
სდიოდეს მუდამ ნექტარი, თაფლი...
დიდება ძალთა ერთად შეკრებას,
მშვენიერ მარსს გვირგვინი დაფნის!

შენიშვნები თარგმნის საკითხზე

ვახტანგ ჭელიძე

◆

ბოლო დროს ქართული წიგნის ბაზარზე სულ უფრო და უფრო გამრავლდა რუსულიდან და უცხო ენებიდან თარგმნილი წიგნები. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში რაოდენობრივად იმაზე მეტი წიგნი ითარგმნა ქართულად, ვიდრე წინათ მთელი დროის განმავლობაში თარგმნილა. გამოჩნდა მთარგმნელთა ახალი კადრები. წინა თაობის მწერლებთან ერთად გაბედულად გამოვიდნენ ახალბედა ლიტერატორები, რომელთაც განათლება ჩვენს უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში მიუღიათ. შეინიშნება, რომ გამომცემლობები გაბედულად აბამენ ამ ახალ მთარგმნელებს მუშაობაში, და ისინიც ხშირად ამართლებენ ამ ნდობას. მართალია, ჯერ კიდევ ბევრსა ვხედავთ უხეიროდ და უვარგისად თარგმნილ წიგნს, და ეს მარტო იმით კი არ არის სავალალო, რომ ესა თუ ის წიგნი ფუჭდება და მკითხველს ზოგჯერ ყალბი წარმოდგენა ექმნება მწერალზე, არამედ უფრო იმიტომაც, რომ ქართული ენა ირყვნება. ხოლო როცა ასე უხეიროდ თარგმნილ წიგნებზე კაციშვილი არაფერს ამბობს, რეცენზიები არ იწერება, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ვერავითარ შეფასებას ვერ ნახავთ მათ შესახებ, ამით უპასუხისმგებლობა იზრდება და აღნიშნული წიგნების მთარგმნელებიც იმავე გზით განაგრძობენ საქმიანობას. ძველად უფრო ხშირად ეწყობოდა თარგმნილი წიგნების საჯარო განხილვა, რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებსაც მეტსა ვხედავდით პრესაში. ახლა კი წიგნები სულ უფრო და უფრო მეტი ითარგმნება. მათ შეფასებას კი, როგორც უკვე ითქვა, თითქმის სულაც აღარ ვხედავთ. ამდენად, კარგიცა და ცუდიც ერთ ტაფაში ხვდება და საერთო საქმეს ზიანი მოსდის.

მარტო უხეიროდ თარგმნილი წიგნი როდი საჭიროებს შეფასებას. საჭიროა კარგად თარგმნილი წიგნებიც შეფასდეს. ამ პატარა წერილში, რომელიც მიზნად არ ისახავს საფუძვლიან ანალიზს, მე მინდა ორი წიგნი და მათი მთარგმნელები ვახსენო. ეს წიგნები თითქმის ერთდროულად გამოვიდა ბაზარზე. ორივე ინგლისურიდან არის თარგმნილი, ოღონდ სხვადასხვა თაობის მთარგმნელთა მიერ.

თბილისის გარეუბანი.

ფოტო ხ. კილაძისა.

პირველი წიგნია უილიამ თეკერეის „ამაოების ბაზრობა", თარგმნილი ჩვენში უკვე ცნობილი ლიტერატორის და მეცნიერი მუშაკის ალექსანდრე გამყრელიძის მიერ. იგი ცნობილი გახდა თავისი თარგმანებით, და ამაში არავითარი წვლილი არ მიუძღვის კრიტიკას, რადგან მის თარგმანებზე თითქმის არაფერი დაწერილა. ალ. გამყრელიძემ რამდენიმე წლის წინათ თარგმნა კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი", სტივენსონის „განძის კუნძული" და მისივე „შავი ისარი" (ეს წიგნები „ნაკადულმა" გამოსცა სათავგადასავლო რომანების სერიით). მანვე კარგა ხნის წინათ თარგმნა „ამაოების ბაზრობის" პირველი წიგნი, და ახლა მეორე წიგნიც გამოჩნდა საქწიგნის მაღაზიებში.

თეკერეი, დიკენსთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე ძნელი სათარგმნელი მწერალია. განსაკუთრებით ეს ითქმის „ამაოების ბაზრობაზე". თეკერეის იუმორი უფრო სარკასტულია, ის განსხვავდება მისივე თანამედროვის დიკენსის ლაღი იუმორისაგან, და, ამდენად, განსხვავებული სტილის თარგმანსაც მოითხოვს. ვფიქრობ, მთარგმნელის წერის მანერა კარგად მოუხდა ამ შესანიშნავი რომანის სტილსა და განწყობილებას. ალექსანდრე გამყრელიძისათვის დამახასიათებელია მდიდარი ლექსიკა, თხრობის სილინჯე და დარბაისლურობა. მისი ენის შესამჩნევი სიმძიმე, რაც იქნებ ერთგვარად საჩოთირო იყო სხვა თარგმანებში, ამ წიგნს უფრო მოუხდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი წიგნისაგან განსხვავებით, რაც თითქმის ათი წლის წინათ ითარგმნა, მეორე წიგნში მთარგმნელის სტილის დამახასიათებელი სიმძიმე უფრო დახვეწილა და ენა უფრო მოქნილი გამხდარა. ეს ძალიან სასიამოვნო მოვლენაა, რადგან ალექსანდრე გამყრელიძე საქმის კარგად მცოდნე, სერიოზული და შრომისმოყვარე ლიტერატორია, და მას ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის თარგმნის საქმეში.

ქართულად აქამდე თეკერეის არცერთი ნაწარმოები არ გამოსულა, და ჩვენ მადლობა გვმართებს ალექსანდრე გამყრელიძის მიმართ, რომ მან კრიტიკული რეალიზმის ეს დიდი წარმომადგენელი მწერლის შემოქმედების შედევრით გაგვაცნო.

ჩვენი მკითხველი აქამდე არც შარლოტა ბრონტეს შემოქმედებას იცნობდა. ბრონტეც დიკენსისა და თეკერეის თანამედროვე მწერალია და საყურადღებოა, რომ მასაც ინგლისელ რომანისტთა ბრწყინვალე სკოლას მიაკუთვნებენ. მისი შემოქმედების შედევრმა „ჯეინ ეარმა" მთელი მსოფლიო მოიარა, თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. ახლა ეს წიგნი ქართულადაც გამოვიდა. შარლოტა ბრონტე თვითონ თეკერეის მიმდევრად აცხადებს თავს, სხვათაშორის, ეს წიგნიც თეკერეის მიუძღვნა. თეკერეის მსგავსადვე, შარლოტა ბრონტემ თავის რომანებში ბურჟუაზიული საზოგადოების ნამდვილი სახე აჩვენა — მისი ზნეობრივი დაცემა, მისი მგლური ბუნება, ქვეყნად გამეფებული საშინელი უსამართლობა და ძალმომრეობა. ყველაზე უფრო მკვეთრად და გამოკვეთილად ეს კრიტიკა „ჯეინ ეარში" გამოვლინდა.

ქართულად ეს წიგნი ლიტერატურაში ჯერ სავსებით უცნობ მთარგმნელებს თამარ მაღრაძესა და ზეინაბ ხახანაშვილს უთარგმნიათ. რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა გამოუცდელი ლიტერატორებისათვის პირველადვე ასეთ დიდ წიგნთან შეხება. მაგრამ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მათ კარგად გაურთმევიათ საქმისთვის თავი და მთელი რომანი კეთილსინდისიერად უთარგმნიათ. რაც მთავარია, ამ თარგმანში იგრძნობა აზრის სინათლე, დიალოგების ბუნებრივი მდინარება, მკითხველი იშვიათად თუ შეხვდება ენობრივ უხერხულობას. მთარგმნელები ცდილობენ იდიომებისა და ხატოვანი გამოთქმების ზომიერად გამოყენებას. ამ წერილს პრეტენზია არა აქვს თარგმანების დაწვრილებითი ანალიზი მოეცა, მაგრამ იმის სანიმუშოდ, თუ როგორ თავისუფლად აგებენ ახალგაზრდა მთარგმნელები წინადადებებს და როგორ გაბედულად იყენებენ იდიომურ გამოთქმებს, პირველივე ორ პატარა აბზაცს მოვიტან.

„სასეირნოდ გასვლა იმ დღეს შეუძლებელი იყო. მართალია, დილით ერთი საათი დავეხეტებოდით ფოთლებშემოძარცულ ბუჩქნარში, მაგრამ ნასადილევს (მისის რიდი ადრე სადილობდა, თუ სტუმრად არავინ მყავდა) ზამთრის ცივმა ქარმა დაბერა, ცაზე შავი ღრუბლები მოჯარა და ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ მისი სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ასეთ ამინდში გასეირნებაზე არავის უფიქრია".

„გულში ვზეიმობდი. არ მიყვარდა დიდხანს სეირნობა, ისიც ნაშუადღევს, ცივ ამინდში. ჭირის დღესავით მძულდა, როცა შებინდებისას ხელფეხგაყინული შინ ვბრუნდებოდით; გულს სევდით მივსებდა ჩვენი აღმზრდელი ქალის ბესის დაუსრულებელი ბუზღუნი; იმის გახსენება კი, რომ ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა რიდები გარეგნულად ჩემზე ბევრად უკეთესები იყვნენ, უფრო მიმატებდა ნაღველს და ჩემს საკუთარ თვალში მამცირებდა".

როგორც ვხედავთ, წინადადებები ძალდაუტანებლად და ბუნებრივად არის აგებული და თავისუფლად იკითხება. აქ მე განსაკუთრებით მომწონს იდიომური გამოთქმების გაბედული და მოხდენილი გამოყენება. „სუსხი ძვალ-რბილში ატანდა"... „ჭირის დღესავით მძულდა". განსაკუთრებული აქ, რა თქმა უნდა, არაფერია. სწორედ ასე უნდა ითარგმნებოდეს მხატვრული ნაწარმოები (და არა მარტო მხატვრული!), იდიომებისა და სპეციფიკური გამოთქმების თავის ადგილზე გამოყენებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება, ჩვენ ვიცნობთ ბევრ თარგმანს — მშრალს, გამოფიტულს, უცხო ენის სინტაქსურ სტრუქტურაზე აგებულს. ამიტომაც სასიამოვნოა, როცა ახალგაზრდა მთარგმნელები გაბედულად ცდილობენ, მარჯვედ აგებენ წინადადებებს, ლაღად აგებას და იდიომური გამოთქმების გამოყენებას. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი წიგნი არ არის თანაბარი ხარისხით თარგმნილი. იქვე, ზემოთმოტანილ აბზაცებს შემდეგ ჩვენ უკვე ვხვდებით პირველივე უხერხულ გამოთქმას: „ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა ახლაც სასტუმრო ოთახში მუდამ დედის გარშემო შეკრებილიყვნენ". გრამატიკულად აქ შეცდომა არაფერია. მაგრამ „ოთახში მუდამ დედა" ამ კონტექსტში კარგად არა ჟღერს. ჯობდა ასე ეთარგმნათ: ელიზა, ჯონი და ჯორჯიანა ახლაც დედის გარშემო შეკრებილიყვნენ სასტუმრო ოთახში... (თუმცა აქ არც სიტყვა „შეკრებილიყვნენ" არის მაინცდამაინც მოსაწონი). ანდა, ცოტა ქვემოთ: „ბავშვებს ეკრძალებათ უფროსებისადმი უკმეხი მიმართვა"... ეს არის ტიპიური შეცდომა, დამახასიათებელი არა მარტო ახალგაზრდა მთარგმნელებისათვის, არამედ ბევრი გამოცდილი ლიტერატორისთვისაც. საერთოდ, ეს „...ისადმი" ფორმა, იშვიათ გამონაკლისს გარდა, არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის და უნდა ვერიდოთ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხშირად ვხვდებით თარგმნილსა თუ არათარგმნილ წიგნებში „დედისადმი სიყვარული", „მტრისადმი სიძულვილი", „სამშობლოსადმი ერთგულება" და სხვა. უნდა დაიწეროს „დედის სიყვარული", „მტრის სიძულვილი", „სამშობლოს ერთგულება"..., ზემოთმოტანილი ფრაზა — „ბავშვებს ეკრძალებათ უფროსებისადმი უკმეხი მიმართვა" — სულ სხვაგვარად უნდა აიგოს: „უფროსებთან ასე უკმეხი ლაპარაკი სად გაგონილა", ანდა „უფროსს სიტყვა არ უნდა შეუბრუნო" და სხვა.

შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოყვანაც, როცა ახალგაზრდა მთარგმნელები საკმაო გაბედულებას ვერ იჩენენ და ზოგჯერ ორიგინალის სინტაქსური სტრუქტურის ტყვეობაში ექცევიან. მაგრამ ცალკეულ შეცდომებს კი არ უნდა გამოვუდგეთ, უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ წიგნი, საერთოდ, კარგად არის თარგმნილი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ახალგაზრდა მთარგმნელები მომავალში მეტი გაბედულებითა და დაკვირვებით განაგრძობენ მუშაობას.

ახლა, ასეთ პირობებში, როცა უკვე მომრავლდა პროფესიონალ მთარგმნელთა რიცხვი, როცა ამ საკმაოდ ძნელ საქმეს ახალგაზრდებმაც გაბედულად მოჰკიდეს ხელი, დროა უცხოეთის კლასიკური და თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა უფრო ფართოდ დაიგეგმოს. თუ აქამდე ჩვენი მკითხველი უცხოელ მწერლებს თითო-ოროლა წიგნით იცნობდა (და ისიც მხოლოდ ზოგიერთ მწერალს), ეს უკვე საკმარისი აღარ არის. თითო რომანით არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მწერლის მთელ შემოქმედებაზე. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს რუსული ლიტერატურის თარგმნის საქმეში. ჩვენ ახლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართულად უკვე გვაქვს თითქმის მთელი ტოლსტოი და გორკი, უდიდესი და უმთავრესი ნაწილი პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ჩეხოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, კოროლენკოს და სხვა რუსი კლასიკოსების შემოქმედებისა. გვაქვს რამდენიმე კარგად თარგმნილი რომანი დოსტოევსკისა და, რამდენადაც ვიცი, დოსტოევსკის თარგმნაზე კვლავაც გრძელდება მუშაობა. ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს აგრეთვე თანამედროვე რუსული ლიტერატურის თარგმნის საქმეშიაც. სასიხარულოა რომ ქართველმა მკითხველმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო მიხეილ შოლოხოვის შესანიშნავი წიგნების თარგმანები, თითქმის მთლიანად ითარგმნა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსის არკადი გაიდარის თხზულებები.

დიდი რუსული ლიტერატურის სრულად თარგმნა ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. ამასთან, საოცარია, რომ ამ დიდ და სერიოზულ საქმეში სათანადოდ არ არის ჩაბმული და გამოყენებული კარგი მოქართულე და დიდი ერუდიციის ლიტერატორი ნიკოლოზ ავალიშვილი. მის გვარს ჩვენ უმთავრესად წიგნის ბოლო ფურცელზე ვხედავთ, წიგნის რედაქტორად გვევლინება. თარგმანის რედაქტორობაც, რა თქმა უნდა, სერიოზული საქმეა, მაგრამ ასეთი კარგი სპეციალისტი მაინც ძირითად საქმეზე უნდა იქნას გამოყენებული.

ამრიგად, დადგა დრო, როცა უნდა ვიზრუნოთ გამოჩენილ უცხოელ კლასიკოსთა და თანამედროვე პროგრესულ მწერალთა სრული კრებულების გამოცემაზე. ამ მხრივ მისასალმებელია გამომცემლობა „ნაკადულის" ინიციატივა, რომელიც სათავგადასავლო რომანების მთელი სერიის გამოცემის შემდეგ, ამჟამად გამოსაცემად ამზადებს ჟიულ ვერნის რჩეულ თხზულებათა ხუთტომეულს. „საბჭოთა საქართველო" უშვებს შილერის რჩეულ თხზულებათა სამტომეულს, მკითხველი მალე მიიღებს ჰემინგუეის რჩეულ ნაწარმოებთა ოთხტომეულს, რომელიც გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" მოამზადა და გამოსცა. საჭიროა ასევე თანდათანობით მომზადდეს და გამოიცეს ბალზაკის, სტენდალის, ფლობერის, მოპასანის, მერიმეს, ზოლას, დიკენსის, სკოტის, თეკერეის, ტვენის, დრაიზერის, თომას მანის, გოლსუორთის, ჰაინეს, ბაირონის, გოეთეს, შელის და სხვა გამოჩენილ მწერალთა რჩეული თხზულებები. რაც უფრო ჩქარა ჩაეყრება ამ საქმეს საფუძველი, მით უკეთესი, თანაც, ჩვენ მთარგმნელების ისეთი კადრი გვყავს, რომ უკვე შეგვიძლია გადაჭრით მოვითხოვოთ პირდაპირ ორიგინალიდან თარგმნა და თარგმანის თარგმნით აღარ დავკმაყოფილდეთ. ეს განსაკუთრებით ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ-ამერიკულ ლიტერატურაზე ითქმის. და მხოლოდ ისეთი ენებიდან თუ მოვითმენთ დროებით თარგმანის თარგმნას, რისი სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები ჯერ კიდევ არა გვყავს (მაგალითად, ესპანურიდან, იტალიურიდან). ინგლისურიდან უკვე ძალიან ბევრი თარგმნის და კარგადაც შეუძლიათ მუშაობა. ზემოთ ნახსენებ მთარგმნელებს გარდა ჩვენ სხვებიც შეგვიძლია დავასახელოთ. ჯონ რიდის წიგნის თარგმანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდა მთარგმნელებს ნოდარ ბადრიაშვილს და ციალა თოფურიძეს. მათი თარგმნილი წიგნი მაღალ პროფესიულ დონეზე დგას.

ცალკე უნდა დაიგეგმოს ანტიკური ლიტერატურის თარგმნაც. ყველაზე ნაკლები ამ მხრივ გაკეთდა ჩვენში. სასიამოვნოა, რომ ამ საქმის ინიციატივა მეცნიერმა მუშაკებმა გამოიჩინეს. ამ მხრივ განსაკუთრებული ინტენსივობით მუშაობენ ჩვენი მეცნიერები სიმონ ყაუხჩიშვილი, პანტელეიმონ ბერაძე, აკაკი ურუშაძე. საინტერესო იქნება პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილისა და პოეტ დავით გაჩეჩილაძის ერთობლივი მუშაობა „ილიადაზე", რომელსაც „საბჭოთა საქართველო" გამოსცემს. „ნაკადული" უკვე ამზადებს პანტელეიმონ ბერაძის თარგმნილ „ოდისეას".

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება პროზის თარგმანზე და ეს — გასაკვირია, მაგრამ ფაქტია — პოეზიის თარგმნის საზიანოდ მოხდა. კარგა ხანია ჩვენს მკითხველს არ მიუღია გამოჩენილ პოეტთა ისეთი კრებულების თარგმანები, რაც წარმოდგენას მოგვცემდა ამა თუ იმ პოეტის მთელ შემოქმედებაზე. მე მგონი, შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვი, რომ შანდორ პეტეფის რჩეული ლირიკის შემდეგ, რომელიც ბრწყინვალედ თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ, ჩვენს მკითხველს ასე თუ ისე მნიშვნელოვანი კრებული უცხოელი პოეტის ლირიკისა არ მიუღია. ამ რამდენიმე წლის წინათ შესანიშნავად დაიწყო მუშაობა ბერნსის თარგმნაზე ახალგაზრდა პოეტმა თამარ ერისთავმა, მან კარგი ადეკვატი უპოვნა პოეტის თავისებურად ამღერებულ ლექსს, მაგრამ მთარგმნელმა რატომღაც მუშაობა შეწყვიტა, ხოლო ის, რაც მან აქამდე თარგმნა, სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს პოეტის შემოქმედებაზე. ბერნსის ლირიკა „მსოფლიო პოეზიის" სერიით მეორედ გამოსცა „ნაკადულმა", მაგრამ მასში უმთავრესად თ. ერისთავის მიერ ძველად თარგმნილი ლექსები შევიდა, და მხოლოდ რამდენიმე ლექსის ახალი თარგმანი დაემატა. თავის დროზე ბაირონის თარგმნას ხელი მოჰკიდა ჩვენმა ცნობილმა მთარგმნელმა გივი გაჩეჩილაძემ. მანვე თარგმნა ინგლისური ლირიკის რამდენიმე ნიმუში და ამით ძალიან სასარგებლო საქმე გააკეთა. მაგრამ, სამწუხაროდ, მანაც შეწყვიტა ამ დარგში მუშაობა. ბაირონის, ჰაინეს, გოეთეს, შელისა და სხვა დიდ პოეტთა შემოქმედების გასაცნობად სრულებითაც არ კმარა რამდენიმე ნიმუშის ან პაწაწინა კრებულის გამოცემა. ამ საკითხზე განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ პოეზიის თარგმნის კარგ პერსპექტივასაც ვერა ვხედავ. მართალია, გამოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს უცხოელ კლასიკოსთა რამდენიმე ლექსის თარგმანი, მაგრამ იგრძნობა, რომ საერთოდ უხალისოდ ეკიდებიან ამ საქმეს — თვით მთარგმნელებიცა და გამომცემლობებიც. აქვე მინდა ერთ საკითხს შევეხო. კარგა ხნის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" დაიწყო შექსპირის თხზულებათა გამოცემა ათ ტომად. შექსპირმა, ივანე მაჩაბლის გენიალური თარგმანების წყალობით, თავიდანვე დიდი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ხალხში, და ამიტომაც მკითხველი ინტერესით შეხვდა ამ წამოწყებას. გამოიცა ხუთი ტომი, საკმაოდ დიდი ტირაჟითაც, და მაშინვე გაიყიდა. მაგრამ ამის შემდეგ გამომცემლობები რატომღაც ძალიან უხალისოდ მოეკიდნენ ამ საქმეს. აქ უკვე მთარგმნელები ბრალში არ არიან. ისინი დროულად ამზადებდნენ ცალკეული პიესების თარგმანებს.

მხატვრული ლიტერატურის თარგმნის საქმე ჩვენში სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს ღებულობს. საჭიროა მეტი ორგანიზებულობა და მთარგმნელთა დაკვირვებული შერჩევა ამ საქმეში, რადგან ჯერ კიდევ ბევრი გამოდის უხეიროდ თარგმნილი წიგნი. ცუდად თარგმნილ წიგნს კი, ზემოთაც ითქვა, სამი ბოროტება სჭირს: თვითონ თარგმნილ ნაწარმოებზე ყალბ წარმოდგენას გვიქმნის, დიდი ხნით უკეტავს გზას იმავე წიგნის ხელახალ თარგმნას და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია, ქართულ ენას გვირყვნის.

ზაქარია ფალიაშვილის უცნობი წერილები

დიდი ქართველი კომპოზიტორის, ზ. ფალიაშვილის საქართველოში ნაყოფიერი მუსიკალური და მუსიკალურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შემდეგ, რომელიც მუსიკალური განათლების მისაღებად, 1900 წელს მოსკოვს გაემგზავრა. იგი ჩაირიცხა მოსკოვის კონსერვატორიაში გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის, კონსერვატორიის დირექტორის ს. ტანეევის კლასში.

ს. ტანეევი ახლოს იცნობდა ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშებს და დიდად აფასებდა ქართული ხალხური სიმღერების განსაკუთრებულ მრავალხმოვანებას. გულისხმიერმა პედაგოგმა თავიდანვე კარგად შეაფასა ზ. ფალიაშვილის ნიჭი და მომავალი კომპოზიტორის შემოქმედება სათანადო მზრუნველობით წარმართა.

ზაქარია ფალიაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თავის მასწავლებელთან და ყოველთვის გულისხმიერად ეკიდებოდა მის რჩევას. ეს კარგად ჩანს ზ. ფალიაშვილის მიერ ს. ი. ტანეევისადმი მიწერილი წერილიდან, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა.

წერილში, რომელიც 1900 წლის 13 ივნისით არის დათარიღებული, ზ. ფალიაშვილი ს. ი. ტანეევს სწერდა:

ღრმად პატივცემულო პროფესორო სერგეი ივანეს-ძევ!

ვიჩქარი გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი თავაზიანი წერილისათვის, რომელსაც მე ასე მოუთმენლად ველოდი. გულახდილად რომ ვთქვათ, მე ველოდი ჩემს მსჯავრს თქვენს ბაგეთაგან, ბაგეთაგან იმ ადამიანისა, რომელიც მუსიკალურ სამყაროში საყოველთაო აღიარებით სარგებლობს.

თქვენმა წერილმა სულიერად აღმაფრთოვანა. ვერ ვპოულობ სიტყვებს, გამოვხატო მადლობის გრძნობა თქვენი კეთილი რჩევისათვის, თუ როგორ განვაგრძო ჩემი მუსიკალური განათლება მომავალში.

მაპატიეთ, მე არ შემიძლია განვაგრძო დამოუკიდებელი მეცადინეობა, რადგანაც ამისათვის ძალღონე არ მყოფნის. რადაც არ უნდა დამიჯდეს, მე უნდა გავემგზავრო თბილისიდან, რადგან აქ დიდად დამოკიდებული ვარ მატერიალურ საშუალებებზე, რომელთა მოპოვებაზე მე მეკარგება ყველაზე საუკეთესო დროის დიდი ნაწილი, რის გამოც ძალიან ცოტას ვმუშაობ. ჩემთვის აუცილებლად საჭიროა, თუნდაც ორი წლით, თავისუფალი ვიყო და დაკავებული ვიყო მარტო მუსიკით, მხოლოდ მაშინ შევძლებ რაიმეს მივაღწიო.

ბოდიში უნდა მოგიხადოთ თქვენს წინაშე იმის გამო, რომ თქვენდამი ჩემი პირველი წერილის მოწერა იცოდა დირექტორმა, ნ. ს. კლენოვსკიმ, და როცა თქვენგან წერილი მივიღე, მე ჩემს დიდ ზნეობრივ მოვალეობად ჩავთვალე, გამეზიარებინა ჩემი სიხარული კლენოვსკისათვის, რომელიც ძალიან კმაყოფილი იყო თქვენი პასუხით, თქვენგან ჩემი მუშაობის შეფასებით. მან იქვე კიდევ ერთხელ მირჩია გავემგზავრო სასწავლებლად და ვისწავლო თქვენთან, რადგანაც, მისი აზრით, უკეთესი კონტრაპუნქტისტი რუსეთში სხვა არ არის, ხოლო პოლიფონიის ამ ხაზში განსაკუთრებული დახმარება მჭირდება მისი საფუძვლიანი შესწავლისათვის.

ნ. ს. კლენოვსკიმ მთხოვა გადმოგცეთ მისი სალამი და კეთილი სურვილები.

დავრჩები თქვენდამი ღრმა პატივისმცემელი და იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით საჭიროების შემთხვევაში რჩევისათვის მოგმართოთ.

თქვენი მორჩილი მსახური **ზაქარია ფალიაშვილი. 14 VI. 1900 წ.**

ზაქარია ფალიაშვილს სასურველმა ოცნებამ ფრთები შეასხა. იგი ტანეევის მოწაფე გახდა. რუსი პროფესორი დიდად კმაყოფილი იყო თავისი ნიჭიერი მოწაფით. მრავალმხრივი მუსიკოსის ბრწყინვალე ოსტატი თითქოს სრულიად განსვენებული იყო მოწოდებული ზ. ფალიაშვილის მასწავლებლად, რომელმაც შემდგომში თავის ოპერებში გასაოცარი ხელოვნებით გამოიყენა მრავალმხრივი ქართული ხალხური კილოები.

ზ. ფალიაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სხვა რუს მოღვაწეებთანაც. 1930 წლის 12 იანვარს ზაქარიას პატარა ბარათი მიუწერია ცნობილი პედაგოგ ნაზარი გრიგოლის-ძე რაისკისათვის. ამ ბარათში ვკითხულობთ:

ღრმადპატივცემულო და ძვირფასო ნაზარი გრიგოლის-ძევ!

ერთობ სერიოზული საქმის გამო ჩემთვის აუცილებელია თქვენი ნახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, არამც თუ სახლიდან გამოსვლა, ლოგინიდან ადგომაც არ შემიძლია. შესაძლებელია, ხვალ კლინიკაში დაწოლა მომიხდეს, ამიტომ დამეხმარებით, გთხოვთ შეწუხდეთ და დღეს, რა დროსაც გსურთ, შემოიაროთ ჩემთან თუნდაც ნახევარი საათით, ან მეტით, რითაც მოგვანიჭებთ დიდ სიამოვნებას.

უცვლელად გელით.

ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის!

თქვენი პატივისმცემელი **ზაქარია ფალიაშვილი. 12. I. 30 წ.**

1931 წლის 18 ოქტომბერს, ხარკოვის სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე უკრაინულ ენაზე დაიდგა „აბესალომ და ეთერი". ოპერის დადგმა განახორციელა პრომ. ... ცეკვების დადგმა დ. ჯავრიშვილის.

ამ მოვლენას საქართველოს და უკრაინის კულტურული ურთიერთობის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ოპერა „აბესალომ და ეთერის" ბრწყინვალედ ჩატარების გამო, უკრაინის ხელოვნების მოღვაწეებმა, საქართველოს დელეგაციას და, კერძოდ, ზ. ფალიაშვილს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

ხარკოვში „აბესალომ და ეთერის" პირველად დადგმის გამო 1932 წლის 3 თებერვალს ზ. ფალიაშვილმა თბილისიდან როსტოვში რუს კომპოზიტორს პროფ. მ. მ. ბაგრინოვსკის, რომელიც ხარკოვში „აბესალომ და ეთერის" დადგმით დაინტერესდა, წერილი გაუგზავნა. წერილში, რომელიც საბჭოთა კავშირის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში ინახება და რომელსაც შემოკლებით ვაქვეყნებთ, ვკითხულობთ:

დიდად პატივცემულო და ძვირფასო მიხეილ მიხეილის-ძევ!

თქვენი წერილი ა. წ. 24 თებერვლის თარიღით, მივიღე, გმადლობთ გახსენებისა და კეთილი სურვილებისათვის.

თქვენ გაინტერესებთ „აბესალომ და ეთერის" დადგმა უკრაინაში? დიახ! იმ მორალურმა კმაყოფილებამ, რომელსაც მე განვიცდი ხარკოვში მისი დადგმის გამო, ყოველგვარ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. აბესალომი დაიდგა ხარკოვში გასული 31 წლის 18 ოქტომბერს ჩემი თანდასწრებით (იქ მე ვესწრებოდი თითქმის მთელ თვე და ვხელმძღვანელობდი ოპერის მუსიკალურ ნაწილს). დირიჟორობდა კაპელმეისტერი ვაისენბერგი, საუცხოო მუსიკოსი, ურიად კულტურული და დიდი ტემპერამენტის ადამიანი. მხოლოდ მეორე სპექტაკლს, უკრაინის განათლების სახალხო კომისარიატის თხოვნით, ვდირიჟორობდი მე. „აბესალომს" ჰქონდა და აქვს კოლოსალური წარმატება და დღემდე ყოველკვირა იდგმება არა ნაკლებ სამისა, გადის ყოველთვის აშლაგებით ამგვარად. იგი იქ სეზონის მშვენებად იქცა. მხატვრულობის მხრივ, მე როგორც ავტორი, სრულიად კმაყოფილი ვარ. ოპერის თარგმანი უკრაინულ ენაზე ჩინებულია, ჩემი ყურისათვის იგი მშობლიურივით ჟღერს. დეკორაციები, კოსტუმები და სხვ. ჩვენი მხატვრის ნადარეიშვილის მიერ მშვენივრადაა შესრულებული. ოპერა იშვიათი დიდებულებით გამოიყურება. საუცხოო სანახაობაა. მსახიობთა შემადგენლობა (ორმაგი, რასაკვირველია) სანიმუშოა. გუნდის, ბალეტისა და საუცხოო ორკესტრის წყობა დამოკიდებულება განსაკუთრებულია. ყველამ ასი პროცენტით შეიყვარა ჩემი მუსიკა, ასე რომ კიდევ უფრო მეტის მოთხოვნა ჩემი მხრივ შეუსაბამო იქნებოდა...

ახლა კიევი თხოულობს „აბესალომს". სიტყვაზე მოგახსენებთ, რომ კიევის რადიო-თეატრი მიწვევს იქ ჩემი საკუთარი ნაწარმოებებიდან სამი სიმფონიური კონცერტის სადირიჟოროდ. ეს კონცერტები დანიშნულია 5, 8, და 11 აპრილს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში როდესაც მოინდომებს მის („აბესალომის და ეთერის" ვ. გ.) დადგმას. ამასთანავე, დაწყებულია სერიოზული მოლაპარაკება მოსკოვთან და ლენინგრადთან, რათა შეიტანონ აკადემიური თეატრების 1932-33 წლების სეზონის რეპერტუარში „აბესალომი". თუ ესეც განხორციელდება, მაშინ ნამდვილად კარგი იქნება!

„ტარას ბულბა" ჩვენთანაც დაიდგა ქართულად თარგმანში, ასე რომ, მოძმე ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურის საკვანძო ურთიერთგაცვლა ყოველმხრივ განხორციელდა!

ძვირფასო მიხეილ მიხეილის-ძევ! ახლა მე თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს: ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გაუბედავ გთხოვოთ — შეითავაზოთ როსტოვის აკადემიურ ოპერის თეატრს, რომელთანაც თქვენ დიდი კავშირი უნდა გქონდეთ — დაიქირონ როსტოვის ოპერის სცენაზე „აბესალომის" დადგმის შესახებ (თქვენთვის ხომ კარგად ნაცნობია იგი!) ეს ხომ როგორც მორალური, ისე მატერიალური თვალსაზრისითაც თეატრისთვის სასარგებლოა. როსტოვის თეატრი ხარკოვის თეატრის მაგალითისამებრ ადვილად დარწმუნდება ყოველივე ჩემს მიერ ზემოთთქმულში, თუ როგორი დაუჯერებელი წარმატებით მიდის ახლაც ეს სპექტაკლები, რომლებიც ავსებენ თეატრის სალაროს. ამას მე ვსაზღვრავ თუნდაც იმ საავტორო თანხით, რომელსაც ხარკოვიდან ვღებულობ. გთხოვთ, ამას ყურადღება მიაქციოთ და თუ შესაძლოა როსტოვის თეატრმაც გადაწყვიტოს ეს საკითხი, შემატყობინეთ.

მეტად თავს აღარ შეგაწყენთ. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩემს კიევში გამგზავრებამდე მომწერთ რამდენიმე სიტყვას.

წერილი მომწერეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა № 10. მე.

ველი პასუხს.

გიძღვნით საუკეთესო სურვილებს.

თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი **ზაქარია ფალიაშვილი.**

P. S. ფოტოსურათს ახლავე დიდი სიამოვნებით გამოგიგზავნიდით, მაგრამ, რადგან მე იგი არ გამაჩნია და მხოლოდ ახლახან გადავიღე, ვიმედოვნებ, რომ როსტოვის სადგურში შეხვედრებით და ამით მომანიჭებთ უდიდეს კმაყოფილებას — პირადად გადმოგცეთ, სანაცვლოდ კი იმედი მაქვს, თქვენგანაც მივიღებ თქვენს ფოტოსურათს ჩვენი მეგობრობის სახსოვრად.

ზ. ფ.

ხარკოვში მოგზაურობის შემდეგ, უკრაინის მთავრობის მიწვევით ზ. ფალიაშვილი მალე კიევს გასამგზავრებლად ემზადებოდა. იმავე 1932 წლის 18 მარტს ზ. ფალიაშვილმა მ. მ. ბაგრინოვსკის როსტოვში მეორე წერილი გაუგზავნა, სადაც დაპირებისამებრ უკვე ზუსტად ატყობინებდა კიევში თავისი მომავალი გამგზავრების დროსა და მიზანს:

ძვირფასო მიხეილ მიხეილის-ძევ!

ათი დღის წინ გამოგიგზავნეთ თქვენი თავაზიანი წერილის პასუხი, რომელსაც ალბათ უკვე მიიღებდით. იქ, სხვათაშორის, გწერდით, რომ კიევის რადიოთეატრის მიწვევით — ჩემი ნაწარმოებებიდან ქართული სიმფონიური მუსიკის 2-3 კონცერტის ჩასატარებლად, მომიხდებოდა კიევს გამგზავრება და გთხოვდით, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნებოდა, შემხვედროდით სადგურში. ახლა ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვა. ჩემი კონცერტები დანიშნულია კიევში 5.8 და 11 აპრილისათვის, ასე რომ, მე აქედან გავდივარ ამ თვის 27-ში, საღამოს, № 47 მატარებლით, რომელიც, რამდენადაც მახსოვს, როსტოვში ჩამოდის მესამე დღეს, ე. ი. 29-ში საღამოს. ეს არის სამგზავრო მატარებელი № 47.

გაცნობებთ რა ამას, ვიმედოვნებ მალე შეგხვდებით. თქვენთვის საინტერესო ახალი ამბები ბევრი მაქვს და იმ რამოდენიმე წუთის განმავლობაში მოვასწრებთ თქვენთან საუბარს.

მაშ მალე შეხვედრამდის.

გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი **ზაქარია ფალიაშვილი.**

რუსეთის ხელოვნების ცნობილი მოღვაწეებისადმი ზ. ფალიაშვილის ზემოთ გამოქვეყნებული წერილები ხელს შეუწყობს კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულყოფილ შესწავლას.

გულნარა გოზალიშვილი.

საქართველოს ცენტრ. სახ. ისტორიული არქივის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ოცი წლის წინათ

დავით ნოზაძე

[illegible]
[illegible]
[illegible]
მაგრამ დღევანდელ,
თვალმოუცილებელ
ლამაზი იუდა
ჩემს სასთუმალთან.

და ვიგრძენ მაშინ
არ ვიყავ კენტად,
ის მიყურებდა
მშფოთვარეს ტკივილს,
ის იყო ჩემი დაც და დედაც,
ის იყო ჩემი იმედის სხივი.

იმ მძიმე წუთებს
ვიგონებ ახლა,
იმ ლამაზს, მხოლოდ
ოცნებით ვწვდები, —
თუ კვლავ შემხვდები,
თუ სადმე ვნახავ,
მომეჩვენება
სიცოცხლის წლები.

1945-1965

შეხვედრები, საღამოები

ამასწინათ თბილისის გ. ტაბიძის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის მკითხველებს ეწვივნენ მწერლები მარიჯანი, ი. ნონეშვილი, ბ. ბერულავა, ვ. გორგანელი, მწერალი და მხატვარი ნ. იქრობაიძე.

შეხვედრა გახსნა მერვე კლასის მოსწავლემ ე. მარაამიძემ. სტუმრად მოწვეული მწერლების შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. მაისურაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ მოსწავლეები თ. მერიაშვილი, ნ. კაზარიანი, მ. მესიაშვილი, ნ. ნოვოსელცოვი, რ. მარტიროსიანი, ო. მურიაშვილი და სხვ.

მოსწავლეებს თავიანთი ნაწარმოებები წაუკითხეს მარიჯანმა, ი. ნონეშვილმა, ბ. ბერულავამ, ვ. გორგანელმა და ნ. იქრობაიძემ.

დასასრულ 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა წარმოადგინა ერთმოქმედებიანი პიესა.

• • •

16 აპრილს სამტრედიის რკინიგზელთა კლუბში მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა. აქ იყვნენ მუშები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლებმაც გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თავიანთ თანამემამულეს, პოეტ გიორგი კაჭახიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტორონჯაძემ. მოხსენებით გიორგი კაჭახიძის პოეზიის შესახებ გამოვიდა ახალგაზრდა პოეტი შალვა ჩიტიშვილი.

სიტყვებით გამოვიდნენ მასწავლებელი ა. გიორგაძე, მწერალი ლ. პეპანაძე, მოსწავლე ნ. ხუბუა და სხვები. მსახიობმა ტ. ხაჟალიამ, მოსწავლეებმა ნ. კობრეიძემ, ქ. პაპუაშვილმა, ე. ნიკოლეიშვილმა, მ. წულუკიძემ წაიკითხეს გ. კაჭახიძის ლექსები.

დასასრულ პოეტმა გულთბილი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და წაიკითხა რამდენიმე ლექსი.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

რეპეტიციაზე.
ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

გმირულ დღეთა მოსაგონებლად

ახლა, როცა ახლოვდება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავი, ქართველი მწერლები და ჟურნალისტები აქტიურად ეხმაურებიან სამამულო ომის თემას.

გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველოს"** მხატვრული ლიტერატურის რედაქცია ამზადებს ს. თავაძის ტრილოგიას „მაისის განთიადს", გ. პაპიაშვილის მოთხრობების კრებულს „სალამური", კრებულს „მათ ასახელეს სამშობლო", რომელიც გვაცნობს საბჭოთა კავშირის იმ გმირებს, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ და აღიზარდნენ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ა. სტუჩენკოს — „ბედი ჩვენი სანატრელი", ქართული დივიზიის ბრძოლებს ეხება თადარიგის გენერალ ვ. ძაბახიძის „ცეცხლოვანი ფურცლები", ხოლო სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე, თადარიგის გენერალ-მაიორი ნ. კილაძე ამ გმირი ქალაქის დაცვაზე გვესაუბრება წიგნში „დიადი ეპოპეა". თადარიგის გენერალ-მაიორი მ. კიკნაძე მოსკოვის დაცვის მონაწილეა. დედაქალაქის მისადგომებთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ეპიზოდებს მოგვითხრობს იგი ნარკვევში „გვემახსოვრება". გენერალ-მაიორ გ. ყურაშვილის წიგნში „სამშობლოს ერთგული შვილები" — ნაჩვენებია ქართველი გენერლების საბრძოლო გზა, ავტორთა კოლექტივის კრებული „ქართული დივიზიები" გვაცნობს დიდ სამამულო ომში ქართული დივიზიების საგმირო საქმეებს.

„ლიტერატურა და ხელოვნება" გამოსცემს კრებულს — „მრისხანე წლების მოსაგონარად", რომელშიც წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ის ლექსები, რომლებიც ომის წლებში შექმნეს ჩვენმა პოეტებმა და მკითხველთა სიყვარული დაიმსახურეს, საბჭოთა კავშირის გმირის დ. ბაქრაძის „ნაცნობ გზებსა და ბილიკებს", ლ. გაზაევა-სანაძის ნარკვევს „სამშობლოსათვის შეწირული მარჯვენას", რომელიც გვიჩვენებს გენერალ მ. მიქელაძის საბრძოლო გზას.

გამომცემლობა **„ნაკადული"** მკითხველს მიაწვდის ვ. შამათავას „დოკინია გადაფრინდა კავკასიონზე", ჯ. გვალიას — „არწივები მიფრინდნენ ცეცხლში" და მ. კაკაბაძის სამამულო ომის ამსახველი მოთხრობების კრებულს „უკანასკნელი წერილი". გამოვა აგრეთვე თარგმნილი ნაწარმოებები: ი. გოლოსოვსკის — „მინდა მჯეროდეს" და ი. ბოგომოლოვის „ივანე".

ახალი დადგმები

29 აპრილს, ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად წარუდგინა კ. ბუაჩიძის პიესა „ეზოში ავი ძაღლია", რომლის დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს შ. ინასარიძეს, მხატვრობა ა. ნიჟარაძეს.

ახალ სპექტაკლში როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტები კ. მჟავანაძე და ნ. თეთრაძე; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. კეჟერაძე, ნ. წერეთელი, ლ. აბზიანიძე და სხვები.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

„სინათლე"

კომპოზიტორ გრიგოლ კილაძის სამმოქმედებიანი ბალეტი „სინათლე" (ლიბრეტო ო. ეგაძისა და ვ. ჭაბუკიანისა) ამ რამდენიმე წლის წინათ დაიდგა პირველად.

ამ დღეებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს წარმოუდგინა „სინათლის" ახალი დადგმა.

ბალეტის დამდგმელია სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი, დირიჟორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. მირცხულავა, მხატვრობა ეკუთვნით ო. ქოჩაკიძეს, ა. სლოვინსკის და ი. ჩიკვაიძეს.

ბალეტში პარტიებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზ. კიკალეიშვილი (დავითი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ბ. მონავარდისაშვილი (მეფისწული ავთანდილი), ვ. გენიაშვილი (მეფისწული რამაზი), თ. სანაძე (ალმასხანი), ა. წერეთელი (დავითის დედა), ვ. გელოვანი (მზეთუნახავი), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ივამბენი (მეფე ჯიმშერი), მსახიობები ს. მალალაშვილი (დედოფალი) და ა. ჯანდიერი (კეთილი ფერია).

„104 გვერდი სიყვარულზე"

გასული თეატრალური სეზონის ერთ-ერთ კარგ სპექტაკლად იქნა მიჩნეული „ანა ფრანკის დღიური", რომელიც ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორის მედეა კუჩუხიძის დადგმით. გუშინ ამავე თეატრში მ. კუჩუხიძის დადგმით ნაჩვენები იქნა ახალი სპექტაკლი — ედ. რაძინსკის პიესა „104 გვერდი სიყვარულზე". სპექტაკლის მხატვარია ელ. დონდუა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), როლებს ასრულებენ: ნ. კილოსანიძე (ნატაშა), ბ. კაზინეცი (ევდოკიმოვი), ლ. ქრილოვა (ირა), რ. ჩილტიკოვი (ელექტრონი), ო. ლარკინა (გალია), გ. ჩიტაიშვილი (ხემიონოვი), ა. გაი (ფელიქსი), ვ. ვორონოვი (ლილკა), ვ. სმოტროვი (მხიარული მოქალაქე) და სხვები.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში

23 აპრილს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში გაიმართა ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნ. აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა დოც. ვ. უზნაძემ. საღამოზე მოხსენებებით გამოვიდნენ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგე ანი ცაციშვილი („როგორ შექმნა გრიშაშვილმა ბიბლიოთეკა"), საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის მთავარი ბიბლიოგრაფი თ. ნაკაშიძე („ი. გრიშაშვილი და „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის" I ტომი"), ა. მარჯანის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი თ. მაჭავარიანი („გრიშაშვილის ბიბლიოთეკა") და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ს. ხუციშვილი („კალამშავლია გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში").

სიტყვებით გამოვიდნენ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის გამგე დოც. ნ. ლორთქიფანიძე, გ. ქარელიშვილი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი ა. გაჩეჩილაძე და სხვ.

მომხსენებლებმა და სიტყვაში გამოსულებმა ხაზი გაუსვეს გამოჩენილი პოეტის ბიბლიოთეკის შექმნისათვის გაწეულ ფასდაუდებელ ღვაწლს. საღამოს დასასრულ დამსწრეთ სახსოვრად გადაეცა მხატვარ ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ექსლიბრისი.

გალაქტიონ ტაბიძის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის

გალაკტიონ ტაბიძის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში და პირად არქივში დაცულ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში გალაკტიონის დაბადების თარიღად დასახელებულია 1892 წელი. მხოლოდ ერთ ჩანაწერში პოეტის დაბადების წლად მითითებულია 1891 წელი.

აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის შესწავლილ იქნა სოფ. ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის 1891-1892 წლების მეტრიკული ჩანაწერების წიგნები. ერთ-ერთი წიგნის იანვრის თვის ჩანაწერში აღნიშნულია: „სქესი — მამრობითი; დაბადებული — 5 ნოემბერს; მონათლული — 3 იანვარს; დაბადებულის სახელი — გალაქტიონი; მშობლების წოდება, სახელი, მამისსახელი, გვარი და სარწმუნოება — ამავე ეკლესიის პრიჩეტნიკი გარდაცვალებული ვასილ სტეფანე მღვდლის ძე ტაბიძე და მეუღლე მისი მაკრინე მღვდლის გიორგის ასული, ორივენი მართლმადიდებელი სარწმუნოებისანი; მიმქმელთა სახელი, მამისსახელი, გვარი — მღვდელი თადეოზ სიმონის-ძე ნამიჭეიშვილი. საიდუმლო ნათლობა აღასრულა მღვდელმა სტეფანე ტაბიძემ*".

მოქალაქეობრივი აქტი დაბადების შესახებ რეგისტრირებულია 1892 წლის 3(15) იანვარს.

სინოდის მიერ დადგენილი წესის მიხედვით ყოველი ახალი წლიდან მოქალაქეობრივი აქტის რეგისტრირება ხდებოდა ახალ წიგნში (იანვრიდან — დეკემბრამდე). ამიტომაც 1892 წლის ნოემბერში დაბადებული შვილებულია გატარებული ახალ მონათლულთა სიაში 1892 წლის იანვარში.

გ. ტაბიძის მეტრიკულ ჩანაწერში მამა ვასილი მოხსენებულია გარდაცვლილად. იმავე ეკლესიის 1891 (ხუცე) წლის წიგნის გარდაცვლილთა ნაწილში ჩაწერილია: „მიმდინარეობასა შინა ამა თებერვლის თვესა გარდაცვალებული იქმნა ერთი მამრი, პრიჩეტნიკი წმ-ის გიორგის ეკლესიისა ვასილ სტეფანე მღვდლის ძე ტაბიძე. მიიცვალა 23 თებერვალს, 35 წლისა, გაციებისაგან, დასაფლავდა 25 თებერვალს წ-და გიორგის ეკლესიის გალავანსა შინა, აღსარება შესრულა მოძღვარი მოძღვარმა მღვდელმა ლუკა თევზაძემ. ხელს აწერს მღვდელი სტეფანე ტაბიძე, დიაკვანი ბესარიონ კანდელაკი". (იხ. იქვე).

გაზეთ „ივერიის" 1892 წ. № 62-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში, რომელსაც ხელს აწერს ი. სტ-ძე, ვკითხულობთ: „წარსულის თვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი მას აქეთ, რაც სიკვდილმა გამოგვაცალა ამ სოფელს (ჭყვიშს ი. ლ.) ხელიდან ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ვ. ტაბიძე. განსვენებული იყო ღვდელობრივი მღვდლის შვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურსშესრულებული. ამას ჰქონდა ამ სოფელში თავისი ხარჯით გამართული სკოლა და დიდის გულმოდგინებით ეწეოდა მასწავლებლობის უღელს. განსვენებული მეტად სამაგალითო ადამიანი იყო თავისი ხასიათით და სათნოებით... ამის სიკვდილის შემდეგ ავერ წელიწადი გავიდა და სოფელი უმასწავლებლოდ არის"...

ჩანაწერისა და ცნობის საფუძველზე ვასილ სტეფანეს ძე ტაბიძე გარდაცვლილა 1891 წლის 23 თებერვალს. მომავალი დიდი პოეტი კი დაბადებულა მამის გარდაცვალების რამდენიმე თვის შემდეგ. მეტრიკული ჩანაწერი შესრულებულია გალ. ტაბიძის ბაბუის — მღვდლის სტეფანე გიორგის ძის ტაბიძის მიერ, რომელმაც ზუსტად იცოდა შვილიშვილის დაბადების დღე, რაც კარგადაც არის ფიქსირებული მის მიერ გალ. ტაბიძის ნათლობის დღეს 1892 წლის 3 იანვარს მეტრიკული წიგნის დაბადებულთა ნაწილში—5 ნოემბრით (ძვ. სტილით).

ამრიგად, ზუსტდება, რომ გალაქტიონ ტაბიძე დაბადებულა 1891 წლის 5 (17) ნოემბერს.

იოსებ ლორთქიფანიძე

---

* საქართველოს სსრ „მმარის" რესპუბლიკური არქივის ფონდი — ვანი, 21.

მართალი სპექტაკლი

...შეძლებულად ცხოვრობენ სოფელ ცისკრის შრომისმოყვარე კოლმეურნეები, მაგრამ უხეირო ხელმძღვანელობამ გაალარიბა ისინი. მოსახლეობა გაექცა სოფლიდან, ზოგმა ქალაქს მიაშურა, ზოგი კი მეზობელ რაიონებში გადასახლდა და კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. — ასეთია ალ. დევიძის პიესის „ნატვრისთვალის" ძირითადი თემა, რომელიც ცხინვალის სახელმწიფო თეატრმა ახლახან განახორციელა.

კარგი ოჯახი ჰქონდა რისტომ ბასთაძეს, მაგრამ ისიც შერყა. ერთადერთი ვაჟი, ბეჟანი ქალაქში ცხოვრობს და მამისეულ კარმიდამოს ათი წელია არ გაეკარება. ამაში მთავარ როლს მისი ცოლი — მირანდა თამაშობს, რომელსაც სძულს სოფელი. მალე ბეჟანს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკად ნიშნავენ. მასთან მიდის თანასოფლელი შოთა, რომელმაც ეს-ეს არის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და სამუშაოდ თავისსავე სოფელში გზავნიან. შოთას არ უნდა წასვლა და ბეჟანს სთხოვს დახმარებას ამ საქმეში. ბეჟანი უარს ეუბნება. შოთა დაწვრილებით განუმარტავს თუ რატომ არ სურს წასვლა და გააცნობს სოფელში შექმნილ მდგომარეობას.

ბეჟანი გადაწყვეტს ერთი თვით ეწვიოს სოფელს და დაწვრილებით გაეცნოს იქაურ ცხოვრებას. მირანდა არ გაუშვებს ქმარს და გაგრაში გაემგზავრა, ბეჟანი კი თავისი შვილებით — ლეილათი და გიგათი სოფელში ჩავიდა, გაეცნო სოფლის მდგომარეობას, რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ზოგი რამ მოაგვარა. როცა შვებულება დამთავრდა, თბილისში დაბრუნდა. ლეილა და გიგა კი სოფელში დარჩნენ. ლეილა, რომელსაც ახალი დამთავრებული აქვს სამედიცინო ინსტიტუტი, უყვარს შოთას.

გაგრიდან ჩამოვიდა მირანდა. მას არ მოსწონს ის გარემოება, რომ მისი შვილები ასე იქცევიან. იძულებით ჩაისვამს მათ მანქანაში და თბილისში წაიყვანს. რისტომი შეიტყობს თუ არა ამ ამბავს, მღელვარებისაგან გარდაიცვლება.

ლეილა სოფლის ექიმად იწყებს მუშაობას. შოთას კი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩევენ და ლეილაზე დაქორწინდება. ასეთია პიესის სიუჟეტური ქარგა.

ნაწარმოები ყურადღებას იქცევს ცხოვრებისეული სიმართლით და სცენურობით. თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნ. თოხაიაშვილმა სწორად გაიგო პიესის მიზანდასახულობა და სიმართლით აღსავსე სპექტაკლი შექმნა. მხატვარ ი. ცერაძესთან ერთად რეჟისორმა სპექტაკლს რეალისტური გადაწყვეტა მოუძებნა. მსახიობები მონდომებით და სიფაქიზით ასრულებენ თავიანთ როლებს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ რისტომ ბასთაძის როლის შემსრულებელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. ცხვირაშვილი. მსახიობი დიდი სითბოთი, დამაჯერებლობით და ტაქტით ხატავს რისტომის სახეს. ასევე დამაჯერებელი და უშუალოა თ. ჭასაბოვა ელისოს როლში. კოლორიტულია დ. ყორანაშვილი (იასონი), რომლის ყოველ გამოჩენას სცენაზე სიხალისე შემოაქვს. გრ. ჭიჭინაძე (ამირინდო), კარგად ხატავს მლიქვნელისა და მეთაყვის კაცის სახეს. შ. ცხოვრებოვი ზურაბის სახით უხეირო, გაყოყოჩებულ მუშაკს წარმოგვიდგენს, რომელსაც თავის გარშემო მლიქვნელები და უსაქმურები შემოუკრებია, ხოლო ხალხის ინტერესები არ აწუხებს. დინჯი, თავდაჭერილი და ლირიკულია ი. ღარიბაშვილი ბეჟანის როლში, ვერ დავემდურებით გ. თარალაშვილს (მირანდა), თუმცა მსახიობი ზოგჯერ მეტად მეტი ფერებით წარმოგვიდგენს თავის პერსონაჟს. შალვას სახეს დ. გოგინაიშვილმა სცენური სიცოცხლე შემატა და სრულყოფილად წარმოგვიდგინა.

დამოუკიდებელი სახეები აქვთ მოქმნილი კოლმეურნეთა როლების შემსრულებლებს თ. კემულარიას (ბელაგო) და გ. გოგიჩაევს (გოგია), მეტად უშუალო და გულწრფელი გაქვს როლში ე. გაგნიძე.

ქების ღირსნი არიან ახალგაზრდა მსახიობები ზ. გასიევი (შოთა) და თ. დოლიძე (ლეილა). თ. დოლიძისათვის ეს როლი სადებიუტო იყო. მან კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

რასაკვირველია, სპექტაკლი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან. საჭირო იყო, ზოგიერთი ხასიათის უფრო მკვეთრად და რელიეფურად წარმოსახვა ან კიდევ ზოგიერთი სცენის დახვეწა, მაგრამ იმ სიამოვნებასთან შედარებით, რასაც სპექტაკლი იძლევა, ეს ხარვეზები იჩრდილება.

ნუნუ გომართელი

სატელევიზიო ფილმი მეომარ პოეტზე

საქართველოს ტელესტუდიამ მრავალი საინტერესო გადაცემა მოამზადა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავისათვის. ამ დღეებში მაყურებელი ცისფერ ეკრანზე ნახავს მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმს — „მირზა გელოვანი".

ფილმის სცენარი დაწერეს რ. გამცემლიძემ და ო. ტაბატაძემ, რეჟისორია ო. ჯანელიძე, ოპერატორი — მ. ბერიშვილი, მხატვარი — ი. ხუროშვილი. ფილმი მუსიკალურად გააფორმა მ. დავითაშვილმა.

მირზა გელოვანის როლს ასრულებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვ. მარდალეიშვილი.

სატელევიზიო ფილმში მოკლედ გადმოცემულია პოეტის ცხოვრება და საბრძოლო ეპიზოდები. ფილმში ჩართულია ბელორუსიაში მირზა გელოვანის საფლავის სანახავად მისი თანამემამულეთა ჩასვლისა და თბილისში პოეტ-მეომრის ძეგლის გახსნის ამსახველი დოკუმენტური კადრები.

ვ. ქისტაური

სურათზე: კადრი ფილმიდან.

გ. შატბერაშვილის დაკრძალვა

24 აპრილს უამრავმა ხალხმა გაავსო საქართველოს მწერალთა კავშირის დიდი საკონფერენციო დარბაზი. ხალხმრავლობა იყო მაჩაბლის ქუჩაზეც. გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების თაყვანისმცემლები მოსულან აქ, რათა პატივი სცენ მწერლის ხსოვნას. საპატიო ყარაულში დგებიან ქართველი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები.

დღის ხუთი საათია. იწყება სამგლოვიარო მიტინგი. სიტყვას ამბობს საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.

— უდროო იყო შენი სიკვდილი, ჩემო გიორგი, შენ მათ მიემატე, ვისმა წასვლამაც გული დაგვწყვიტა, ვაი, რომ დაშვრა მშრომელი ხელები, ვაი, რომ დადუმდა ტკბილად და მართლად მოუბარი ბაგენი. შენ იყავი ნამდვილი მოღვაწე. შენი მწერლობა სიმართლეს ემსახურებოდა, თაყვანს სცემდი კეთილსა და მშვენიერს, იყავი მესაიდუმლე ხალხის გულისა და ქართული ენისა, ხალხის სიღრმიდან ზღვის მყვინთავივით ამოჰქონდა სიტყვათა მარგალიტები.

— დიდია ჩვენი მწუხარება, — ამბობს მწერალი მიხეილ მრევლიშვილი. — ილევება ბევრი ცრემლი, ტირიან ვაჟკაცები, რომელთა თვალსაც არასოდეს ცრემლი არ უნახავს. დიდი ტკივილი მოგვაყენე, მაგრამ შენს მეგობრებს ის გვანუგეშებს, რომ ვალმოხდილი მიდიხარ ჩვენგან, რადგან, რაცა სთქვი, კარგადა სთქვი და სამარადისოდ დაიმკვიდრე ბინა მკითხველის გულში.

— შენი წარმტევით, — ამბობს პოეტი რევაზ მარგიანი, — სიკვდილმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავის უაზრობაში. ამიერიდან ჩვენს შორის აღარ იქნები, მაგრამ სიყვარული შენი მწერლობისა და ადამიანობისა მარად იცოცხლებს.

სამგლოვიარო მიტინგი მთავრდება. ზღვა ხალხი მიაცილებს ცხედარს დიდუბის პანთეონისაკენ. პანთეონში სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა სერგო ქლდიაშვილმა.

— უმძიმესი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ, — ამბობს იგი. — ჩვენს რიგებს გამოაკლდა სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, მრავალმხრივი შემოქმედი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე.

სიტყვებს ამბობენ პროფესორი დიმიტრი ბენაშვილი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი გიორგი ტატიშვილი, გ. შატბერაშვილის მშობლიური რაიონის — კასპის მშრომელთა წარმომადგენელი გ. ხორგუაშვილი. იგი აცხადებს, რომ მწერლის უკვდავსაყოფად კავთისხევის საშუალო სკოლას და კასპის ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნა გ. შატბერაშვილის სახელი.

მწერალმა გ. ციციშვილმა წაიკითხა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიღებული სამძიმრის დეპეშები.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00626